კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ვარდო მეტრეველი

ნატოს როლი მსოფლიო სამშვიდობო პროცესებში და თანამედროვე სამხედრო გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი,
კსუ-ს ასისტენტი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2021

ანოტაცია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის-ნატოს მთავარი დანიშნულება მისი წევრი-სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა პირველ რიგში.

ნატო წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, ერთ წევრზე თავდასხმა მთლიანად ალიანსზე თავდასხმად განიხილება. დაუსაბუთებელი და არგუმენტს მოკლებულია აღნიშნული პრინციპის ქმედითუნარიანობაში ეჭვის შეტანის მცდელობები.

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა. მისი ქმედებები რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არასოდეს ყოფილა. ალიანსი თავის წევრებს იცავს პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და მიმართულია დავებისა და მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა. ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე5 მუხლი ეფუძნება კოლექტიური თავდაცვის პრინციპს, რომლის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება როგორც თავდასხმა ნატო-ს ყველა წევრ სახელმწიფოზე. სწორედ ნატო-ს დამსახურებაა, რომ ევროპაში უკანასკნელი 70 წლის მანძილზე მშვიდობაა დამყარებული. ამასთან, ყოველი მომდევნო გაფართოების შედეგად, ახალი წევრებისთვის უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების მეშვეობით, ფართოვდება უსაფრთხოების და მშვიდობის არეალი მთელს ევროატლანტიკურ სივრცეში. ცივი ომის დროს ნატო-ს მისია საბჭოთა კავშირისგან შესაძლო აგრესიის შეკავება იყო და ეს წარმატებით გამოსდიოდა. ამ პერიოდში,ნატოს ძალები არც ერთ სამხედრო კონფლიქტსა თუ კრიზისში ჩართული არ ყოფილან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი უსაფრთხოების ახალი გამოწვევები გაჩნდა, ნატო-ს ფუნქციები კი უფრო გაფართოვდა. საფრთხე აღარ იყო შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და ალიანსმაც გამოთქვა მზაობა, შეეჩერებინა აგრესია

ყველგან, რა დროს და საიდანაც უნდა წარმოშობილიყო ის. ფაქტი ერთია, რომ ნატოს ჩართულობით, 1990-იანი წლების სისხლიანმა კონფლიქტებმა დარეგულირება დაიწყო. ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე ეთნიკურმა წმენდამ, ჩრდილოეთ მაკედონიაში კი შეიარაღებულმა კონფლიქტმა, ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციების დაწყებისკენ უბიძგა.

ნატო-ს ოპერაციების შედეგად: ბოსნიაში გაფორმდა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება, რომელმაც ბოსნიელ სერბებსა და ბოსნიელ ხორვატებს შორის შეიარაღებული შეტაკებები დაასრულა,ჩრდილოეთ მაკედონიაში კი, დაიდო სამშვიდობო შეთანხმება ჩრდილოეთ მაკედონიის მთავრობასა და ამბოხებულ ალბანელებს შორის, რის შედეგადაც ალბანელთა სეპარატიზმი დასრულდა. მეორე მსოფლიო ომირ შემდეგ, სწორედ მშვიდობის შესანარჩუნებლად შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია ნატო,ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობა და სოლიდარობა ქვეყნებს შორის მსოფლიო მასშტაბით.

ANNOTATION

NATO's role in world peace processes and modern military challenges In the modern world, NATO is not an offensive but a defense organization and its main principle is to ensure the security of member states. NATO regulates the security of member states under Article 5 of the North Atlantic Treaty, according to which an attack on one member is considered an attack on the Alliance as a whole. Attempts to cast doubt on the validity of this principle are unsubstantiated and devoid of argument. The North Atlantic Treaty Organization was established to ensure peace. His actions have never been directed against any state. The Alliance protects its members by political and military means. It promotes democratic values and aims to resolve disputes and ongoing conflicts peacefully.

One of the key principles of the North Atlantic Alliance is collective defense. Article 5 of the NATO North Atlantic Treaty is based on the principle of collective

defense, according to which an armed attack on one or more states is considered an attack on all NATO member states.

It is to NATO's credit that peace has been established in Europe for the last 70 years. However, with each subsequent expansion, the area of security and peace across the Euro-Atlantic area is expanded by providing security guarantees for new members. During the Cold War, NATO's mission was to deter possible aggression from the Soviet Union, and it was successful. During this period, NATO forces were not involved in any military conflict or crisis. After the collapse of the Soviet Union, new security challenges arose, and NATO's functions expanded. The threat was no longer limited to any particular location and the Alliance also expressed its readiness to stop the aggression everywhere, at what time and from where it was to originate. The fact is that with the involvement of NATO, the bloody conflicts of the 1990s began to be settled. The ongoing ethnic cleansing in Bosnia-Herzegovina and the armed conflict in northern Macedonia have prompted NATO to launch peacekeeping operations. As a result of NATO operations: the Dayton Peace Accords were signed in Bosnia, ending armed clashes between Bosnian Serbs and Bosnian Croats, In northern Macedonia, a peace agreement was reached between the government of northern Macedonia and the rebel Albanians, ending Albanian separatism.

Vardo

Metreveli

სარჩევი

ანოტაცია 2

ANNOTATION 4

შესავალი 7

I თავი : ნატოს არსი და მნიშვნელობა, მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.....17

1.1 ნატოს მიზნები და ამოცანები, მექანიზმები, უსაფრთხოების შესანარჩუნებლად 21

1.2 ნატოს წვლილი უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით მსოფლიოში და განხორციელებული მისიები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში..... 26

თავი II. ხელის შემშლელი ფაქტორები ნატოს მიერ განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებსა/მისიები სამშვიდობო პროცესებში და თანამედროვე

სამხედრო გამოწვევები.....43

2.1 პოლიტიკური ფაქტორები ნატოს წევრი ქვეყნებისთვის თანამედროვე სამხედრო საფრთხეებთან ბრძოლაში,საქართველოს ფაქტორი.....46

2.2 ნატოს კომპეტენცია სამხედრო საფრთხეებთან ბრძოლის საქმეში.....59

თავი III . ნატოს დღევანდელი როლი მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.....62

3.1 ნატოს სტრატეგია თანამედროვე სამხედრო და სხვადასხვა ტიპის საფრთხეებთან საბრძოლველად.....66

3.2 ნატოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა საფრთხეების აღკვეთის საქმეში.....70

დასკვნა 74

გამოყენებული ლიტერატურა 79

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში არსებული კონფლიქტების და არასტაბილური რეგიონების პირობებში, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, მისი წვლილი მშვიდობის შენარჩუნების კუთხით და ნატოს მიერ განხორციელებული მისიები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. კონფლიქტები გადავიდა ახალ განზომილებაში და ახალ სივრცეში. სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ომებს, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, დაემატა კიბერ სივრცე, რამაც ახალი თაობის ომში ჩართო საერთაშორისო აქტორები.

თემის აქტუალობა : საფრთხეები მსოფლიოში, ეს იქნება სამხედრო თუ პოლიტიკური, ყოველთვის არსებობდა და არსებობს და დღეს უკვე სერიოზულ გამოწვევადაა ქცეული და მასთან გამკლავება არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს დღის წესრიგში დგას. დღეს ევროპის უსაფრთხოების ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებიდან,ამგვარი საფრთხეები არის ყველაზე აქტუალური, ვინაიდან, მათთან ბრძოლის გზებს ნატო ყოველთვის პოულობს.

აუცილებელია, უფრო მეტი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის არსებობა, ასევე ინფორმაციის გაცვლა, როგორც ორგანიზაციებს, ისე სახელმწიფოებს შორის.

საფრთხეების არსებობამ და ხშირ შემთხვევაში გამწვავებამ აჩვენა, რომ უსაფრთხოებისადმი მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონვენციური ძალების მისიებით. ამიტომ, როგორც თავად უსაფრთხოების ორგანიზაციებიც აღიარებენ, საჭიროა ამ გამოწვევების შესაბამისად სამოქმედო გეგმების არსებობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება,რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები ან არსებული რთული ვითარებების ექკალაცია. უნდა გავითვალიწინოთ ყველა ქვეყანამ ძველი შეცდომები, რათა მომავალში მსოფლიოში იყოს სიმშვიდე და ურთიერთთანამშრომლობის საშუალება. დღესდღეობით და არამარტო, ნატო სარგებლობს უდიდესი ნდობით და

მხარდაჭერით მსოფლიოში. გლობალური მოვლენების გამო უფრო აქტიურად განიხილება უსაბრთხოების საკითხი მსოფლიოში და ნატო ღებულობს მრავალ გამოწვევას, რათა შეინარჩუნოს მშვიდობა და სტაბილურობა კონფლიქტურ ქვეყნებში,რათა თავიდან იქნას აცილებული სიტუაციათა გამწვავება ან კონფლიქტების უფრო დიდ მასშტაბში გადაზრდა. მეცნიერულ სიახლეს ამ შმეთხვევაში წარმოადგენს ნატოს დღევანდელი როლი,რაც იმას ამტკიცებს, რომ დღიდან მისი შექმნისა, აქტუალობას არ კარგავს და მისი როლი ფაქტიურად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ყველაზე რთულ პერიოდში ხოლმე კონფლიქტური სიტუაციების დროს,იგი ყოველთვის ცდილობს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია,რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება მონახოს ალტერნატიული გზა რათა შეაჩეროს დაძაბულობა. დღეს, მიუხედავად იმისა ,რომ ისეთი სისხლისმღვრელი ომები აღარ არის როგორიც პირველ და მეორე მსოფლიო ომის დროს,ან თუნდაც მანამდე ან მის შემდგომ იყო თუმცა,არანაკლებ საყურადღებო კონფლიქტებს და სასტიკი ჩაგვრის ფაქტებს იცნობს მსოფლიო ამა თუ იმ ქვეყნის მიერ განხორციელებულს - მეორე ქვეყნის მიმართ,ასევე, კონკრეტული ქვეყნის შიგნით არსებულ დაძაბულ,ჩაგვრის ღონისძიებებს და ასე შემდეგ.

სწორედ ამიტომ, ნატო მუდამ იბრძვის სამართლიანობისთვის და ყოველთვის ცდილობს მიიღოს სამართლიანი ვერდიქტი დამნაშავე ქვეყნის მიმართ და გაატაროს ისეთი ღონისძიებები,რომლებიც შეაჩერებს ერთი სუბიექტის მხრიდან - მეორეს ჩაგვრას.

ნატო წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც თამაშობს მედიატორის როლს და არ არის მიკერძოებული საერთაშორისო ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ სარგებლობს უდიდესი ნდობით მსოფლიოში და სწორედ ამიტომ არის ყოველთვის დიდი სურვილი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების,სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან.

ჩემს ნაშრომში არის მკვეთრად გამოხატული ნატოს მნიშვნელობა და როლი არამხოლოდ იმ კუთხით, რომ ნატო არის სანმშვიდობო ორგანიზაცია და აქვს მრავალი ბერკეტი და მექანიზმი რათა შეინარჩუნოს მშვიდობა, არამედ

ახალი(თანამედროვე) გამოწვევის შესახებაც არის ყურადღება გამახვილებული რომელსაც ,,სამხედრო საბრთხეები წარმოადგენს''.უნდა აღინიშნოს ,რომ ადრეც არსებობდა სამხედრო საბრთხე თუმცა , დღეს სამხედრო კონფლიქტები თუ სამხედრო დაპირისპირებები წარმოადგენს გამოწვევას, რადგან 21-ე საუკუნეში ისეთი დაპირისპირებები არ უნდა არსებობდეს როგორიც ადრე იყო (სისხლისმღვრელი), რადგან მსოფლიო განვითარდა და დემოკრატიული ურთიერთთანამშრომლობა უნდა არსებობდეს და არა ძალისმიერი მეთოდით ერთმანეთის ჩაგვრა. ნაშრომში სწორედ იმაზეა გამახვილებული ყურადღება რომ, თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პროცესების ეპოქაში, სამხედრო დაპირისპირებები ნამდვილად გამოწვევაა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს კრიტიკული სიტუაციების განმუხტვა.

ამ, საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეში მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების მიმოხილვა როგორიცაა: თანამედროვე სამხედრო გამოწვევები, პოლიტიკური ფაქტორები. ასევე, ნატოს დღევანდელი როლი მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში, ნატოს სტრატეგია თანამედროვე სამხედრო და სხვადასხვა ტიპის საფრთხეებთან საბრძოლველად.

ასევე, ალიანსის მიერ საბრთხეების აღქმა და მის მიერ გატარებული ღონისძიებები და ამ მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

თანამედროვე სამხედრო გამოწვევებს კონტექსტში ახალ სახეს იძენს ომის წარმოების ტაქტიკა,რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა აქტორებს სამხედრო მოქმედებები აწარმოონ უფრო ეფექტურად, ნაკლები დანაკარგების და ნაკლები ხარჯების გარეშე. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო.

ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებისა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ალიანსი აღიარებს, რომ საფრთხე აღარ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და მზად არის, გამოეხმაუროს მას, რა დროს და საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის.

მსოფლიოში, სადაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია კომპლექსურობა და საფრთხეების დივერისიფიკაცია უამრავი მიმართულებით.

გლობალიზაციის პირობებში კი, მათი რიცხვი გეომეტრიული სიხშირით იზრდება და უფრო რთულდება საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ნაშრომის მიზნები :

- განვსაზღვროთ ნატოს როლი სამშვიდობო პროცესებში. რამდენად ეფექტურია ნატოს სამშვიდობო მისიებში ჩართვა, კონფლიქტების და საფრთხეების დარეგულირებაში
- თემის განსაზღვრა თანამედროვე სამხედრო გამოწვევების მიმართულებით რა მექანიზმები გააჩნია ნატოს ნაშრომის ამოცანები :
- ნატოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში.
- ნატოს როლის წარმოჩენა გლობალურ უსაფრთხოებაში.

აღნიშნული კვლევის კითხვებს წარმოადგენს :

- რამდენად ეფექტურია ნატოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში?
- რა მექანიზმები გააჩნია ნატოს თანამედროვე სამხედრო გამოწვევების საპასუხოდ? o რა ინსტრუმენტები გააჩნია ნატოს , კონფლიქტების დასარეგულირებლად. საკითხის კვლევისას დასმული კითხვებისა და ამოცანების შესწავლის შემდეგ, რომელიც მიღწეულ იქნა საკვლევი მეთოდების, ანალიზისა და კვლევის მეთოდოლოგიის ხარჯზე გამოიკვეთა თემის 2 ჰიპოთეზა:
- მსოფლიოსა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს თანამედროვე სამხედრო გამოწვევები წარმოადგენს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ნატო, ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების გარანტს წარმოადგენს.
- თავისი მობილური,მოქნილი, სწრაფი რეაგირების ძალებისა და სამხედრო პოტენციალის საფუძველზე. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ალიანსი XXI- ე საუკუნეშიც ინარჩუნებს ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო

ორგანიზაციის სახელს უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

კვლევაში გამოყენებულია :

- ისტორიულ - აღწერილობითი კვლევის მეთოდი o კვლევის მეთოდი : case study o პოლიტიკური კველვის მეთოდი o კონტენტ ანალიზი ასევე , Case-Study -ის ანალიზის შესწავლის საფუძველზე კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ისეთი ამოცანები, როგორიცაა:
- ახალი სამხედრო და პოლიტიკური საფრთხეების განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში.
- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, როგორც სამხედრო პოლიტიკური გაერთიანების როლი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში .

კვლევის მეთოდოლოგია, აგრეთვე მოიცავს, ნეორეალიზმის სკოლას :

- ,,სექიურითიზაციის კონცეფცია", რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან.
- ასევე ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს და რეალიზმის სკოლის თეორიას.
- აგრეთვე , საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი თეორია ,,ძალთა ბალანსის", რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

კვლევის საგანი : ნატოს როლი მშვიდობის შენარჩუნების პროცესებში.

კვლევის ობიექტი : ნატოს როლი მშვიდობის საკითხებში და თანამედროვე სამხედრო გამოწვევები.

კვლევის მეთოდოლოგია : კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ნეორეალიზმის სკოლას : ,,სექიურითიზაციის კონცეფცია", რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან.

- ასევე ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს და რეალიზმის სკოლის თეორიას.
- აგრეთვე , საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი თეორია ,,ძალთა ბალანსის“, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

კვლევის მეთოდები :

- ისტორიულ - აღწერილობოთი კვლევის მეთოდი o პოლიტიკური კველვის მეთოდი o კონტენტ ანალიზი o კვლევის მეთოდი : case study

კვლევის თეორიული მნიშვნელობა : აღნიშნული კვლევა შესაძლოა შემდგომში გამოყენებული იქნეს სხვადასხვა კვლევისთვის ვინაიდან ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები და გამოწვევები ყოველთვის აქტუალურია და ახალი გარემოებების და გამოწვევების დადგომა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ამ თემისადმი ინტერესის გაჩენას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი დააინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს და საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარებს. აგრეთვე, მათ ვინც იკვლევს ან სწავლობს უსაფრთხოების სექტორში არსებული ადამიანის უფლებების სამართლებრივ საკითხებს . კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე ასეთი სახის კონკრეტული მასალა, რომელსაც გააჩნია ამ თემატიკასთან უშუალო შეხება :

1. გ.მაღრაძე, ვ.მაისაია ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017. ნაშრომში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით.

   მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებას და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს უდიდესი როლი ენიჭება ეს კი დღესდღეობით მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტკური

სისტემებისათვის. აქვე მოყვანილია ის მთავარი სექტორები, რომელიბიც დიდ გავლენას ახდენენ გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე. ავტორების მიერ დეტალურად არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება.

აქვე განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პოსტბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

აქვე განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პოსტბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას. მაგალითის სახით ავტორებს მოყვანილი ყავთ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გაოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ,,ცივი ომის“ პირობებში და ასევე მათი გარდასახვა მოხდა დროთა განმავლობაში, როგორც ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ - თეორიიდან პრაქტიკამდე.

მაგალითის სახით ავტორებს მოყვანილი ყავთ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გაოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ,,ცივი ომის“ პირობებში და ასევე მათი გარდასახვა მოხდა დროთა განმავლობაში, როგორც ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ - თეორიიდან პრაქტიკამდე.

ნ. ჩიტაძე ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, გამოიცა პროექტის ,,ნატოს სწავლების“ ფარგლებში, თბილის, 2008 წელი - ნაშრომი მათავარ გზამკვლევს წარმოადგენ სოციალური მეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის და ასევე სტუდენტებისათვის.

ავტორი ისტორიული ქრონოლოგიის სიზუსტით გვიჩვენებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბების მიზეზებსა და გარემოებებს. ფაქტების საფუძველზე ხდება ნატო-ს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის გარანტის წარმოჩენა და ნატო-ს შექმნიდან დღემდე განვლილი პერიოდის შედეგად არსებული ტრასფორმაციის მკაფიოდ ჩვენება.

2. ტიმოთი ენდრიუს სეილი/ Timothy Andrews Sayle - ,,A History of NATO and the Postwar Global Order'',(April 15, 2019) . The book is published by Cornell University Press.

ავტორი სტატიაში „მტკიცე ალიანსი“, განიხილავს , თუ როგორ შექმნეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა შეერთებულ შტატებსა და კანადასთან ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის მხრიდან ხელყოფის თავიდან ასაცილებლად და სამომავლო სამხედრო კონფლიქტის პირველი თავდაცვის როლის შემსრულებლად.

როგორც ცივი ომის დროს ნატოს გაბერილი ქვეყნების, საბჭოების, სარდლობებისა და კომიტეტების მზარდი და ურჩი ჰოჯოპეჯი, სეილი აჩვენებს, რომ აღმასრულებელი ლიდერების, მაღალი დონის დიპლომატებისა და ინსტიტუციონალური ჩინოვნიკების მუშაობამ ალიანსი ცოცხალი და ძლიერი შეინარჩუნა. ადმინისტრაციების შეცვლის, სხვადასხვა კრიზისისა და გეოპოლიტიკური მანევრების ნაკადის შესახებ. მდგრადობა და მოქნილობა ნატოს ნამდვილი ნიშანია. როგორც მტკიცე ალიანსმა ოსტატურად აჩვენა, ნატოს ისტორია ორგანიზებულია ძალთა ბალანსის, გადაჭარბებული სამხედრო ძალების და ბირთვული ომის გეგმების გარშემო. ეს არის თაობათა შეცვლის ისტორიაც, საერთაშორისო საქმეების ახალი მიდგომების დანერგვა და დემოკრატიული ქვეყნების დიპლომატიის სირთულე.

ნატოს სამოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, ალიანსს კიდევ ერთხელ ექმნება გამოწვევები მისი არსებობის წინაშე, თუნდაც ის მყარად ინარჩუნებდეს ადგილს დასავლეთ ნახევარსფეროს ცენტრში და გლობალურ საქმეებში.

3. ე.ჯონსტონი / A. Johnston - How NATO Adapts: Strategy and Organization in the Atlantic Alliance since 1950 (The Johns Hopkins University Studies in Historical and Political Science), (February 1, 2017).

დღევანდელი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც ოცდაათი წევრით და გლობალური მასშტაბით გვხვდება, საოცრად განსხვავდება 1949 წელს შექმნილ თორმეტიანი ალიანსისგან, რომ "შეინარჩუნონ ამერიკელები, რუსები გარეთ და გერმანელები დაბლა". ეს განსხვავებები არ არის უბრალოდ ცივი ომის დასრულების, 11 სექტემბრის ან

XXI საუკუნის ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგი, მაგრამ წარმოადგენს ადაპტაციის უფრო ზოგად ნიმუშს, რომელიც პირველად აღინიშნა გერმანიაში, როგორც ალიანსის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა 1950-იანი წლებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სხვა მდგრადი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, რომლებიც ასახავენ თავიანთი დამფუძნებელი ეპოქის საერთაშორისო პოლიტიკას, ნატო გამოირჩევა გასული სამოცდაათი წლის განმავლობაში თამამი და ტრანსფორმაციის სიხშირით. ამ დამაჯერებელ წიგნში, სეტ ჯონსტონი მკითხველს აწვდის დეტალურ შემოწმებას, თუ როგორ ეგუება ნატო. ნატოს თითქმის ყველა ასპექტი : მათი მისიების, ფუნქციონალური მასშტაბის, ზომისა და წევრობის ჩათვლით , ღრმად განსხვავდება, ვიდრე ორგანიზაციის დამფუძნებელი. "კრიტიკული მომენტები" - ს თეორიული ჩარჩოს გამოყენებით ნატოს ორგანიზაციაში და მის სტრატეგიაში ცვლილებების ასახსნელად, ჯონსტონი ამტკიცებს, რომ ამ ადაპტაციებში ალიანსის ბიუროკრატიულმა მსახიობებმა მნიშვნელოვანი და ხშირად შეუმჩნეველი როლები შეასრულეს.

4. ჯონ ანდრეას ოლსენ / John Andreas Olsen ,,Airpower Applied'' : U.S., NATO, and Israeli Combat Experience (History of Military Aviation) Hardcover – May 15, 2017 . John Andreas Olsen .

აღნიშნულში ავტორი მიმოიხილავს საჰაერო ძალების ევოლუციას და მის გავლენას ომის ისტორიაზე. ოცდაცხრა შემთხვევის შესწავლის კრიტიკული გამოკვლევით, რომელშიც აშშ-ს სხვადასხვა კოალიციამ და ისრაელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ეს წიგნი გთავაზობთ პერსპექტივებს საჰაერო ძალების პოლიტიკური მიზნის, სტრატეგიული მნიშვნელობისა და სამხედრო მნიშვნელობის შესახებ.

ავტორები დემიტიფიცირებენ საჰაერო ძალების სტრატეგიული ისტორიის ზოგიერთი ნაწილის გამოყენებით ყველაზე სასარგებლო სწავლებებით, რათა დაეხმარონ სამხედრო პროფესიონალებს და პოლიტიკურ ლიდერებს იმის გაგებაში, თუ რას სთავაზობს ჰაეროვანი ძალა, როგორც "პოლიტიკის გაგრძელება სხვა გზით". ეს ტომი იკვლევს, თუ როგორ შეიცვალა ომი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და რატომ გახდა საჰაერო ძალა ომის

დომინანტური ფაქტორი. შემთხვევების შესწავლა ხაზს უსვამს პოლიტიკისა და საჰაერო ძალების დაკავშირების მნიშვნელობას: ოპერატიული ეფექტურობა ვერ შეცვლის ცუდი სახელმწიფო სტრუქტურებს. როგორც შეერთებულმა შტატებმა, მისმა მოკავშირეებმა და ისრაელმა საჰაერო ძალების ბოლოდროინდელ გამოყენებებში დაინახეს, ყველაზე ძლიერი და ქმედითი საჰაერო იარაღიც კი ვერასოდეს იქნება უფრო ეფექტური, ვიდრე ის სტრატეგია და პოლიტიკა, რომლის მხარდაჭერასაც ისახავს მიზნად. მსოფლიოს ყველაზე გამოცდილი საბრძოლო საჰაერო ძალების ოპერაციული ისტორიის ანალიზით, ამ წიგნში მოცემულ ანგარიშებს სამხედრო პროფესიონალებს შეუძლიათ გააცნობიერონ პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც უნდა შეფასდეს საჰაერო ოპერაციები, ააფასონ საჰაერო ძალების სტრატეგიული მნიშვნელობა და გახდნენ ამ პოტენციურად გადამწყვეტი ინსტრუმენტის საუკეთესო გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო.

თავი I. ნატოს არსი და მნიშვნელობა, მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.

ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც დაარსდა 1949 წელს, როგორც საბჭოთა აგრესიის წინააღმდეგ სიმაგრე, აშშ-ევროპის სამხედრო თანამშრომლობის საყრდენად. ნატოს მოკავშირეების გაფართოებულმა ბლოკმა მისია ფართო სპექტრით მიიღო ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროატლანტიკური რეგიონის მიღმა, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავღანეთი და ლიბია.

იქამდე, ვიდრე უშუალოდ დავიწყებდეთ ნატოს მიერ განხორციელებულ მისიებზე საუბარს. მოკლედ შეგვიძლია გავუსხვათ ხაზი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალას და მნიშვნელობას, მოკლედ შევეხებით ამ მისიებთან დაკავშირებით ნატოს შესახებ საუბარს. ცნობილია, რომ ნატოს გააჩნია სხვადასხვა მექანიზმები, რითიც ეხმარება სუსტ ქვეყნებს კონფლიქტების დროს.

მაგალითად კოსოვოს კონფლიქტის დროს, როდესაც ჩაერთო ნატო, ამით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონფლიქტის დარეგულირების და აღმოფხვრის კუთხით. 1999 წელს კოსოვოში დიპლომატიური

შესაძლებლობები ამოიწურა და იუგოსლავიის სამხედრო ძალები გაიზარდა. ნატოს საჰაერო თავდასხმა კი - 1999 წლის მარტში დაიწყო, სწორედ იმიტომ ,რომ სხვა გზა უბრალოდ აღარ დარჩა ალიანსს. კოსოვოს კონფლიქტში მთავარ როლს ნატო თამაშობდა, როგორც სამშვიდობო ორგანიზაცია.

1999 წლის მარტში ალიანსმა,როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს უარის მიუხედავად, იუგოსლავიაში საჰაერო ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო, ეს იყო უკიდურესი ფორმა დაპირისპირების განსამუხტად.

ალიანსი გაეროს მისიასთან (UNMIK) მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობსდა უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მშვიდობიანი თანაცხოვრება შეეძლებოდა.

გარდა ამისა, საინტერესო იქნება ისეთი შემთხვევის აღნიშვნა როცა ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობდა როგორც სამშვიდობო ორგანიზაცია. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით. ამით ნატო ხელს უწყობდა ერაყის მთავრობას ეფექტიანი შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და მხარს უჭერდა მათი თავდაცვითი შესაძლებლობის ამაღლებას.

საინტერესოა როგორი იყო ალიანსის გეგმები 2001 წელს, თუ როგორ უზრუნველყოფდა ნატო არა მხოლოდ სახმელეთო,არამედ საზღვაო უსაბრთხოებასაც, იმ ქვეყნებისთვის რომლებსაც დახმარება ჭირდებოდათ. ამ წლის ოქტომბრიდან ოპერაცია ,,აქტიური ძალისხმევ-ის" ფარგლებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები, (რომელიც აერთიანებს სამხედრო გემებს, წყალქვეშა ნავებს, თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს,) ხმელთაშუა ზღვის წყლებში პატრულირებდნენ. ისინი აკონტროლებდნენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში და სავაჭრო გემებს თანხლებას უწევდნენ.აღსანიშნავია, რომ ,,აქტიური ძალისხმევ-ის " მიზანი იყო , ხმელთაშუა ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა, გამოვლენა და დროული განეიტრალება.

ეს ოპერაცია მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განვითარებაში. ხმელთაშუა ზღვაში, გემების ინტენსიური სავაჭრო

მიმოსვლის რეგიონში სტაბილური და მშვიდი გარემოს ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ალიანსის უსაფრთხოებისათვის. ალიანსის სამხედრო ძალების ყოფნამ ხმელთაშუა ზღვის წყლებში ხელი შეუწყო ნატოსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (ალჟირის, ეგვიპტის, ისრაელის, იორდანიის, მავრიტანიის, მაროკოს, ტუნისის) მჭიდრო თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში, რადგან აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ეს ქვეყნები ალიანსის ძალებს აწვდიდნენ სადაზვერვო მონაცემებს,

რეგიონულ წყლებში მცურავი გემების შესახებ. ნატოს გაძლიერებული ყოფნა ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოადგენდა უსაფრთხოების გარანტს და დადებითად აისახებოდა გემების მიმოსვლაზე. ,,აქტიური ძალისხმევა'' ასევე, ხელს უწყობდა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ოპერაციაში, გარდა ნატოს წევრი სახელმწიფოებისა, ჩართულები იყვნენ ალიანსის პარტნიორი ქვეყნებიც. საბრთხეებს რაც შეეხება, მაგალითად - 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს.

მეორე დღეს, სექტემბერს პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ნატოს ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე. ალიანსმა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად. მან ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ. 2019 წელს, როდესაც ალიანსი სამოცდაათი წლის გახდა, ის დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. ძველი პერიოდის განხილვისას, ცივი ომის შემდგომ , 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთის ლიდერებმა ინტენსიურად

განიხილეს ტრანსატლანტიკური ალიანსის მიმართულება. იმ პერიოდში პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით უსაფრთხოების ქოლგის გასავრცელებლად და დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაციისთვის ყოფილ საბჭოთა ბლოკში,ხოლო ზოგიერთმა აშშ-ს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ისურვეს პენტაგონის მიერ ევროპაში აღებული ვალდებულებების გაქარწყლება საბჭოთა საფრთხის გაქრობით. ევროპელი წევრები ასევე გაიყვნენ ამ საკითხზე.

კონკრეტულად, გაერთიანებულ სამეფოს ეშინოდა, რომ ნატოს გაფართოება ალიანსს მეტად შეამსუბუქებდა. საფრანგეთი კი თვლიდა, რომ ეს ნატოზე ძალიან დიდ გავლენას იქონიებდა და ევროპული ინსტიტუტების მეშვეობით ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ინტეგრაციის იმედი ჰქონდა, ასევე იყო შეშფოთება რუსეთის გაუცხოების შესახებ. შეერთებული შტატებისთვის გადაწყვეტილების მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კლინტონმა - ნატოს გაფართოება მიიჩნია ლაკმუსის გამოცდად, ,,დარჩებოდა თუ არა აშშ საერთაშორისო ჩართულობაში და დაამარცხებდა თუ არა იზოლაციონისტურ და ცალმხრივ სენტიმენტალურ განწყობებს," - წერდა რონალდ დ. ასმუსი, ნატოს გაფართოების ერთ-ერთი ინტელექტუალური არქიტექტორი, ნატოს კარიბჭის გახსნაში. 1994 წლის იანვარში, ევროპაში პირველი მოგზაურობის დროს, პრეზიდენტმა კლინტონმა განაცხადა, რომ ნატოს გაფართოება "აღარ არის საკითხი: ,,მაგრამ, როდის და როგორ". როდესაც ალიანსის ლიდერებმა დაამტკიცეს [1] ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის'' (PfP), პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებას, მათ შორის იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი რესპუბლიკა, როგორიცაა საქართველო, რუსეთი და უკრაინა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატომ პირველად განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები. პროგრამა - ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის"[2], როდესაც შეიქმნა მიზნად ისახავდა ნდობის დამყარებას ნატოს, ევროპაში ნატოს არაწევრ ქვეყნებსა და ყოფილი

[1] ოთარაშვილი ზურაბი ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი"/თბილისი - 2018 წ. გვ13-14. yata.ge
(ბოლო ნახვა-12.04.2021)

საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. იგი პირველად იქნა შემოთავაზებული, როგორც ამერიკის ინიციატივა 1993 წლის 20-21 ოქტომბერს, ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ტრავემუნდში (გერმანია).

მიუხედავად იმისა, რომ იცვლება იმ საფრთხეების ხასიათი[23], რომლის წინაშეც იმყოფებიან ნატოს წევრი სახელმწიფოები, ამ საფრთხეებთან გამკლავების მიმართულებთ ნატოს პოლიტიკა, სოლიდარობის საბაზისო პრინციპები, დიალოგი და თანამშრომლობა რჩება ვაშინგტონის ხელშეკრულების პრინციპების მთავარ პრიორიტეტად. როგორც პოლიტიკური სამხედრო ალიანსი, ნატო ასევე წარმოადგენს საერთო ინტერესთა და ღირებულებათა თანამეგობრობას.

ნატოს წევრი სახელმწიფოები უფრო დაცულნი არიან და ალიანსი უფრო ეფექტურია, იმიტომ, რომ წევრები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა პოზიციებს, აქედან გამომდინარე, მათ გააჩნიათ თანმხვედრი პრინციპები და მოქმედებენ ერთობლივად.

1.1 ნატოს მიზნები და ამოცანები,მექანიზმები მშვიდობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია განვიხილოთ და ყურადღება მიექცეს იმას, რომ ნატოს "ღია კარის პოლიტიკა" ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლს ემყარება.

ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს მოწვევას, გახდეს ალიანსის წევრი იღებს ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ალიანსის წევრების კონსენსუსის საფუძველზე. მხოლოდ ნატოს არაწევრი სახელმწიფო არ მონაწილეობენ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ნატოს მიმდინარე გაფართოების პროცესი არ წარმოადგენს საფრთხეს არც ერთი ქვეყნისთვის. გაფართოების მიზანი მდგომარეობს სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში, ერთიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობაში, მშვიდობისათვის გაერთიანებასა და საერთო დემოკრტიული

---

[2] ბესელია მაგდანა / ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები : ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები. (სამაგისტრო ნაშრომი / თბილისი [3] წ). გვ. 32-33.

ღირებულებების ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ ნატოს კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მზადაა, წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი.

ბევრი პოლიტიკური ანალიტიკოსი არ იყო დარწმუნებული, რომ გაფართოება სასურველ შედეგს მოიტანდა. ზოგიერთი შიშობდა, თუ როგორ აისახებოდა გაფართოების პოლიტიკა ალიანსის კავშირებსა და სოლიდარობაზე სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობებზე,რაც ზემოთაც კი აღინიშნა.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ნატოს მიზნების და ამოცანების გათვალიწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის გაფართოებას და ალინსში ახალი წევრების ყოფნას.

აღნიშნულის გათვალისწინებით 1995 წელს, ალიანსმა ჩაატარა სწავლება ნატოს გაფართოების შესახებ, რომლის საფუძველზეც 1997 წლის მადრიდის სამიტზე, გაწევრიანების მიზნით ალიანსმა ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მოიწვია, ისინი ალიანსს 1999 წელს შეუერთდენენ.

1949 წლიდან ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა, გაფართოების შვიდი საფეხურის გავლით 12-დან 28 ქვეყანამდე გაიზარდა. გაფართოების პირველი სამი საფეხური, რომლის დროსაც საბერძნეთი და თურქეთი (1952), დასავლეთ გერმანია (1955) და ესპანეთი (1982) წევრი ქვეყნები გახდნენ, ცივი ომის დროს მიმდინარეობდა,

როდესაც გადაწყვეტილება მიიღებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს ქვეყნები გახდნენ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებიდან პირველი ნატოს წევრი სახელმწიფოები.

1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan - MAP) შეიმუშავეს, რაც ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს შესაძლო წევრობისათვის მომზადებაში დაეხმარებოდა, ხოლო: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია მოლაპარაკებების დაწყების მიზნით ალიანსის პრაღის სამიტზე 2002 წელს მიიწვიეს. ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები ალიანსს 2004 წელს შეუერთდნენ. აღსანიშნავია, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმას შვიდივე

ქვეყანა ასრულებდა. ალბანეთი და ხორვატია, რომლებიც ნატოში 2008 წლის აპრილში ჩატარებულ ბუქარესტის სამიტზე მიიწვიეს, ოფიციალურად კი ალიანსის წევრები 2009 წლის 1 აპრილს გახდნენ. რაც შეეხება მონტენეგროს, 2015 წელს ბრიუსელის მინისტერიალზე მან ნატოსგან ალიანსის წევრობაზე მიწვევა მიიღო. ,, ეს არის ძალიან ლამაზი კავშირის დასაწყისი", განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა .

2015 წლის დეკემბრიდან მონტენეგრო ნატოსთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების პროცესში იყო, 2017 წლის 5 ივნისს კი 29-ე წევრი ოფიციალურად გახდა. გარდა ამისა, 2015 წლის 1 იანვრიდან , ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission - RSM) მიმდინარეობდა. ევროკავშირის საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, EUFOR RCA მანდატი 3 თვით, 2015 წლის მარტამდე გახანგრძლივდა.აღსანიშნავია,რომ მისიაში საქართველო 2014 წლის ივნისიდან ჩაერთო.ნატო უნიკალურია ალიანსებს შორის იმით, რომ ის არ არის მხოლოდ ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ხელშეკრულებაზე წევრ ქვეყნებს შორის, არამედ არის საერთაშორისო ორგანიზაცია და განსაკუთრებითკი - ინსტიტუციონალური ორგანო.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ადრეული წლებიდან, ნატო შედგება მუდმივად დაკომპლექტებული ოფიციალური პოლიტიკური შტაბისგან, რომელსაც მხარს უჭერს სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატოს ინტეგრირებული ერთობლივი მრავალეროვნული სამხედრო სტრუქტურა, უნიკალური ინოვაცია ექვივალენტურია სხვა ალიანსებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.[4] ნატო რომ უნიკალური ალიანსია იქიდანაც ჩანს, რომ იგი დღემდე არსებობს. ასეთი ხანგრძლივობით კი ვერცერთი სხვა ალიანსი ვერ იტრაბახებს. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ნატო არ არის ჩვეულებრივი სამხედრო ალიანსი. ნატოს გააჩნია უზარმაზარი აპარატი თავისი სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურებით და კიდევ სხვა განყოფილებებით, რომლებიც

[4] ძიძიგური ნინო ,, გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ''.
წიგნი გამოცემულია სსიპ ,, საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ'' მიერ, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/ 2017 წელი. გვ 1 http://www.cso.ge. (ბოლო ნახვა-15.04.2021)

ათასნაირი მათ შორის, არასამხედრო საქმიანობებით არიან დაკავებულები. ასე მაგალითად, ნატო აფინანსებს სამეცნიერო კვლევებსაც კი. ნატოს არსებობის ხანგრძლივობის კიდევ ერთი საიდუმლო ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის თანამოაზრეთა გაერთიანება და დემოკრატიული ქვეყნების კლუბი. წევრ ქვეყნებს აერთიანებს არა მხოლოდ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ საერთო ფასეულობებიც.

ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ცივი ომის დროს ნატოს მსგავსი სხვა ალიანსებიც შეიქმნა, რომელთა მიზანსაც კომუნისტური აგრესიისგან თავდაცვა წარმოადგენდა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა დიდხანს ვერ გაძლო.თუ გავიხსენებთ ,,ერთა ლიგას''- სწორედ ამ მიზნით, სამშვიდობო ორგანიზაციის არსებობის მიზანით შექმნა, დიდხანს ვერ იარსება და მალევე ჩამოიშალა.

ნათელი მაგალითია, კიდევ ერთი ორგანიზაცია - 1955 წელს შეიქმნა სეატო (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ნატოს ანალოგიური სახელწოდებით და ჟღერადობით), რომელშიც შევიდა : ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, პაკისტანი, ავსტრალია, საფრანგეთი, ფილიპინები, ტაილანდი და ახალი ზელანდია, მაგრამ 1977 წელს ეს ორგანიზაციაც დაიშალა. დაშლის მიზეზად დასახელდა შემდეგი მიზეზი , რომ ორგანიზაციამ საერთო მიზანი დაკარგა, მაგრამ იმავე ლოგიკით საერთო მიზანი ნატომაც დაკარგა 1991 წელს, როცა დამარცხდა კომუნიზმი და დაიშალა საბჭოთა კავშირი. ამასთან, როგორც ცნობილია, ნატო სეატოსგან განსხვავებით, არა მხოლოდ არ დაიშალა, არამედ გაფართოვდა კიდეც.

ნატოს საკმარისი გამოცდილება, [5] მექანიზმები და საშუალება აქვს იმისთვის, რომ ქვეყნებს შორის დაამკვიდროს ახალი უსაფრთხოების მოდელი, რომელიც თანამშრომლობით სფეროში ფართომაშტაბიან ქსელს შექმნის. სტრატეგიული მისიის განხორციელებით, ნატო არა მხოლოდ შეინარჩუნებს პოლიტიკაში ტრანსატლანტიკურ ერთობას, არამედ ის ასევე პასუხს გასცემს 21ე საუკუნის სულ უფრო სერიოზულ გამოწვევებს

[5] კვარაცხელია გვანცა. საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები" 23-24 დეკემბერი, 2020 . გვ 5-6. http://css.ge (ბოლო ნახვა-12.04.2021)

უსაფრთხოების სფეროში. უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მართვა დამოკიდებულია ნატოს განვითარებაზე.

უკვე კლასიკად ქცეული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების თეორიაც, არსებითად, სექტორის რეფორმირების თანამედროვე მოთხოვნებიდან მთავარს, უსაფრთხოებისა თუ თავდაცვის ძალებზე სამოქალაქო კონტროლის აუცილებლობას აღნიშნავს და მის ოპტიმალურ ფორმებს ეძებს. როგორც ნატოს, ასევე რუსეთის სამხედრო კვალი მკვეთრად შემცირდა ცივი ომის დასრულებისთანავე.

დღეს ევროპაში ნატოს მოკავშირეებს აქვთ მცირე უპირატესობა სახმელეთო ჯარების დონეზე, მაგრამ თავდაცვის ექსპერტები აფრთხილებედნენ, რომ რუსულ ძალებს შეიძლება მოულოდნელი შეტევის ზღვარი ჰქონოდა. 2014 წელს, უელსის სამიტის შემდეგ, ნატომ გააუმჯობესა სამხედრო წვრთნები და გახსნა ახალი სარდლობის ცენტრები რვა წევრ ქვეყანაში: ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი. მოკრძალებით დაკომპლექტებული ფორპოსტები მიზნად ისახავდა მხარი დაეჭირა სწრაფი რეაგირების ახალ ძალებს, რომლებიც დაახლოებით ოცი ათასი იყო, მათ შორის ხუთი ათასი სახმელეთო ჯარი. ნატოს სამხედრო დამგეგმავები თავის დროზე ამბობდნენ, რომ დიდ კრიზისში შეიძლება მრავალეროვნული ძალების დაახლოებით ორმოცი ათასი კაცის მოზიდვა.

2018 წლის დასაწყისში შეერთებულმა შტატებმა დაიწყო უკრაინის მოწინავე თავდაცვითი შეიარაღების, მათ შორის ჯაველინის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გაყიდვა, რუსეთის დახმარებით აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

თავდაცვის ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ალიანსს უნდა განეხილა ფინეთისა და შვედეთის წევრობის გაღრმავება, ორი ქვეყანა, რომლებსაც ისტორიაში აქვთ სამხედრო თანხვედრა. ორივე მიესალმებოდა ნატოსთან უფრო მეტ სამხედრო თანამშრომლობას უკრაინის მხრიდან რუსეთის ჩარევის შემდეგ. მათი სკანდინავიელი თანატოლები : დანია, ისლანდია და ნორვეგია, ნატოს ქარტიის წევრები იყვნენ.

ნატომ 2018 წელს დაიწყო ოფიციალური გაწევრიანების მოლაპარაკებები ჩრდილოეთ მაკედონიასთან, რომელსაც ადრე მაკედონიას უწოდებდნენ.

ამბობდნენ, რომ ბალკანეთის ერი მალე გახდებოდა ნატოს სრული მეცამეტე წევრი.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და ყურადრების გამახვილება აუცილებელია თურქეთთან დაკავშირებითაც, რადგან ბევრმა მოითხოვა თურქეთის წევრობის გადაფასება. პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ნატოს ბევრი მოკავშირე ააცილა პოლიტიკური ძალის კონსოლიდაციისა და რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების მცდელობებით, მათ შორის მოწინავე სარაკეტო თავდაცვითი სისტემების შეძენა.

2019 წლის ოქტომბერში თურქეთმა კვლავ გააკრიტიკა ნატოს ლიდერების მხრიდან სირიის ჩრდილოეთით ქურთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე თავდასხმის ფაქტი. ლონდონში, ნატოს 2019 წლის სამიტის წინ, ეკონომისტთან საუბრისას, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გააფრთხილა, რომ ალიანსი განიცდიდა შიდა დაყოფას, რაც "ტვინის სიკვდილის" ტოლფასია. ამასთან, ნატოს სხვა ლიდერებმა შეამცირეს უთანხმოება, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კი განაცხადა, რომ ,,ალიანსი დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს იყო ცივი ომის დროს''. ნატოს გააჩნია უსაბრთხოების უზრუნველსაყოფად მე-4 და მე-5 მუხლები. მათი ამოქმედების განხილვა შესაძლებელია ნატოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე. თუმცა, თუ ნატოს ისტორიას გავიხსენებთ, ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენებას გულისხმობს, მხოლოდ ერთხელ - 2001 წლის 11 სექტემბერის ტერაქტის შემდეგ ამოქმედდა მეყსეულად. ასევე, ყოფილი გენერალური მდივნის თანაშემწე ედგარ ბაკლი, რომელიც 1999-2003 წლებში ალიანსის დაგეგმარებისა და ოპერაციების ოფისს ხელმძღვანელობდა, თავის სტატიაში აღნიშნავდა, რომ ,,მეხუთე მუხლი, ალიანსის წევრების კოლექტიური გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტომატურად შევიდა ძალაში ისე, რომ არც ერთი წევრი სახლმწიფოს თხოვნა არ ყოფილა.'' ძალზედ საინტერესოა კონფიქტების განხილვისას ყურადღება გავამახვილოთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, თუ როგორ გადადიან მწარე მტრები დიპლომატიურ დონეზე დამკვიდრებულ მეტოქეობას? სწორედ ამ საკითხს იკვლევდა ვინსენტ პულიოტიდა მივიდა დასკვნამდეც.

,,საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პრაქტიკის თეორიის გამოყენების ერთ-ერთ პირველ მცდელობაში ვინსენტ პულიოტი[6] ემყარებოდა პიერ ბურდიეს სოციოლოგიას,

რომელიც შეიმუშავებს უსაფრთხოების თემების პრაქტიკის თეორიას და იყენებს მას ცივი ომის შემდგომ უსაფრთხოების ურთიერთობებზე ნატოსა და რუსეთს შორის.

ათეულობით ინტერვიუსა და უახლესი ისტორიის საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით, პულიოტი აჩვენებდა, რომ დიპლომატია ჩვეულებრივ, თუმცა არა თავისთავად აშკარად პრაქტიკად იქცა ორ ყოფილ მტერს შორის. ის ამტკიცებდა, რომ ეს შეზღუდული დამშვიდება განპირობებულია ძალაუფლების სიმბოლური ბრძოლით, რომელიც ურთიერთობებს აწუხებს მას შემდეგ, რაც ნატომ გაფართოების პროცესი დაიწყო გეოგრაფიულ და ფუნქციურ დონეზე.

1.2 ნატოს წვლილი უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით მსოფლიოში და განხორციელებული მისიები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა [7] თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებისა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

ალიანსი აღიარებს, რომ საფრთხე აღარ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და მზად არის გამოეხმაუროს მას, რა დროს და საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის. ყველაზე მთავარი ასპექტი არის ის,რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატომ პირველად განახორციელა

---

[6] ვინსენტ პულიოტი / International Security in Practice: The Politics of NATO-Russia Diplomacy (Cambridge Studies in International Relations Book 113) Feb 18, 2010 გვ 1 . https://www.amazon.com (ბოლო ნახვა-18.04.2021)

[7] სამშვიდობო/მისიები (ინტერნეტნ რესურსი) გვ 1 . old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions (ბოლო ნახვა-18.04.2021)

სამშვიდობო ოპერაციები.

მისია ნატო ბოსნია-ჰერცეგოვინაში :

ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის შემდეგ ნატო გადამწყვეტ როლს ასრულებდა ბალკანეთში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებათა პროცესში.

1992-1995 წლების განმავლობაში ნატო აქტიურად უჭერდა მხარს ბოსნიაჰერცეგოვინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შესაჩერებლად გაეროს ძალისხმევას რეზოლუციებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების მეშვეობით.

გაეროს მხრიდან ყველა მცდელობა, რეგიონში მშვიდობიანი გზით შეეჩერებინა ძალადობა, ამაო იყო. 1995 წლის 30 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა საჰაერო იერიში მიიტანეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბთა სამხედრო ფორმირებების პოზიციებზე. საჰაერო ოპერაცია იმავე წლის 15 სექტემბრამდე გაგრძელდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და რასაც ყოველთვის აქვს ალტერნატივა და აზრი ხოლმე, დიპლომატიურმა ძალისხმევამ და საჰაერო ოპერაციის წარმატებამ ხელი შეუწყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ნიადაგი მოამზადა ქალაქ დეიტონში (აშშ) დაპირისპირებული მხარეების წარმატებული მოლაპარაკებისათვის, რომელიც დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებით (Dayton Peace Accord) დასრულდა. 1995 წლის 16 დეკემბერს ალიანსმა მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების განხორციელების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ერთი წლით გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო ძალები (საიმპლემენტაციო ძალები/Implementation Force – IFOR) განათავსა.

მათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის უზრუნველყოფა, ახლად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულების (ბოსნიის ფედერაციისა და სერბთა რესპუბლიკის) შეიარაღებული ძალების დაშორიშორება და სამხედრო საწყობებზე კონტროლი დაევალათ. საიმპლემენტაციო ძალებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამოქალაქო აეროპორტების

გახსნაში, მოსახლეობისათვის წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების განახლებაში.

დასახული ამოცანების შესრულების შემდეგ, 1996 წლის დეკემბერში საიმპლემენტაციო ძალებს ნატოს სტაბილიზაციის ძალები (Stabilization Force – SFOR) ჩაენაცვლა.

რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების გარდა, სტაბილიზაციის ძალებმა დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების სამოქალაქო ასპექტების ხელშეწყობა იტვირთა. ასევე, სტაბილიზაციის ძალებს დაევალა, სამხედრო დანაშაულში ბრალდებულთა დაკავება და ყოფილ იუგოსლავიაში საერთაშორისო სისხლის სამართლის ჰააგის ტრიბუნალისთვის (International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia) გადაცემა. ბოსნია-ჰერცეგოვინაში უსაფრთხოებისა და სტაბილური გარემოს აღდგენის შემდეგ ნატოს სამშვიდობო მისიის პირადი შემადგენლობა თანდათანობით შემცირდა, ვიდრე 2004 წლის ბოლოს სტაბილიზაციის ძალებმა მისია არ დაასრულა.

2004 წლის 2 დეკემბერს ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის შესანარჩუნებლად ევროკავშირის (European Union) სამხედრო მისია – ალთეამ (Althea) აიღო. ბოსნია-ჰერცეგოვინაში გარდამავალი დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისა და ევროკავშირთან მჭიდრო კოორდინაციის მიზნით, ნატომ სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი) თავისი წარმომადგენლობის (ნატოს შტაბი სარაევოში) სახით ქვეყანაში ყოფნა შეინარჩუნა. სარაევოში ნატოს შტაბის წარმომადგენლები ხელს უწყობდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინის მთავრობას რეფორმების გატარებაში ქვეყნის სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში. ბოსნია-ჰერცეგოვინა ახორციელებდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმას და ნატოს ერთ-ერთი ასპირანტი ქვეყანა იყო.

კოსოვოს კონფლიქტი და ნატო

კოსოვოს კონფლიქტი საკმაოდ რთული საკითხია,იმ მხრივ ,რომ ალბანელ სეპარატისტებსა და იუგოსლავიის სამოკავშირეო რესპუბლიკას შორის მიმდინარეობდა. საზოგადოების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს იყო ეთნოწმენდა და წმინდა ეთნოსური კონფლიქტი ორ მხარეს

შორის.მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხალხის ჩაგვრა ერთი მხრიდან, მეორე მხარის მიმართულებით ხორციელდებოდა რადგან იუგოსლავიის და მეტეოხიის დამოუკიდებლობა სურდათ. დაპირისპირება დაიწყო 1996 წლიდან ,ეს იყო შეიარაღებული კონფლიქტი. 1999 წლის ივნისიდან უკვე ნატო ახორციელებდა სამშვიდობო მისიას კოსოვოში.

ჰუმანიტარული კატასტროფის აღსაკვეთად და მშვიდობის დასამყარებლად ნატომ სამხედრო-საჰაერო კამპანია განახორციელა. ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კოსოვოში სერბ სამხედროებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის ერთწლიანი ძალადობისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტის უკანასკნელი საშუალება.

აღნიშნული კამპანიის საფუძველი, სერბი პოლიტიკური მოღვაწის, სლობოდან მილოშევიჩის მხრიდან გაეროს რეზოლუციების მუდმივი უგულებელყოფა იყო. გენოციდში ედებოდა ბრალი და 2001 წელს ამის გამო ჰააგის ტრიბუნალს გადაეცა იგი.

ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალების ამოწურვისა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარუმატებლობის შემდეგ ალიანსმა იუგოსლავიის ხელისუფლების სამხედრო და გასამხედროებული სტრუქტურების წინააღმდეგ საჰაერო იერიშების დაწყება გადაწყვიტა. სამხედრო-საჰაერო კამპანია 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღეს გაგრძელდა.

1999 წლის 23 აპრილს ვაშინგტონში ნატოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში ალიანსის მიზნები დაამტკიცეს: საომარი მოქმედებების, ძალადობისა და რეპრესიების შეჩერება რეგიონში, კოსოვოს პროვინციის დემილიტარიზაცია, საერთაშორისო სამხედრო/სამშვიდობო მისიის ჩამოყალიბება, კოსოვოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების დაუყოვნებლივი და უსაფრთხო დაბრუნება სახლებში. ასევე, ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდება ლტოლვილთათვის და პოლიტიკური შეთანხმების შემუშავება. კოსოვოსთან დაკავშირებით გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად 1999 წ. ნატოსა და ყოფილი იუგოსლავიის არმიის სარდლობას შორის სამხედრო შეთანხმების

ხელმოწერის შემდეგ, 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს მანდატის საფუძველზე, ნატომ რეგიონში ე.წ. კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა.

მათ ევალებოდათ : საომარი მოქმედებების განახლების დაუშვებლობა, კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის განიარაღება, სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საარჩევნო პროცესებისა და სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ასპექტების განვითარების ხელშეწყობა, კოსოვოში გაეროს მისიისა (United Nations Missiom in Kosovo - UNMIK) და სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჰუმანიტარული ოპერაციების მხარდაჭერა. სამშვიდობო მისიის დასაწყისში ერთიანი სარდლობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი კოსოვოს ძალების შემადგენლობაში 50 000 სამხედრო მოსამსახურე გაერთიანდა. მისია მოიცავდა როგორც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების. ასევე პარტნიორი ქვეყნების მშვიდობისმყოფელებს. 2003 წელს რეგიონში უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებამ ალიანსს საშუალება მისცა, სამშვიდობო კონტინგენტი დაახლოებით 15 000 კაცამდე შეემცირებინა. 2008 წლის 17 თებერვალში კი - კოსოვოს მთავრობამ, უკვე დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამ ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა.ნატოს პასუხისმგებლობა, კოსოვოში განევითარებინა უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, დარჩა უცვლელი, ამიტომ ნატოს ოპერაცია კოსოვოში კვლავაც გაგრძელდა. ,,ალიანსი გაეროს მისიასთან (UNMIK) მჭიდრო თანამშრომლობით ხელს უწყობდა უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მშვიდობიანი თანაცხოვრება შეეძლებოდა.''

ნატოს მისია , მაკედონიის რესპუბლიკაში

რაც სეეხება მაკედონიას,მეტად მნიშვნელოვანი იყო მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნის საფუძველზე, თავიდან აეცილებინა სკოპიეს (მაკედონიის დედაქალაქი) მთავრობასა და ეთნიკურ ალბანელ მეამბოხეებს შორის კონფლიქტის ესკალაცია. ნატო მონაწილეობდა რეგიონში მიმდინარე პროცესებში.

2001 წლის ივნისში მაკედონიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბორის ტროიკოვსკიმ თხოვნით მიმართა ნატოს აღმოეჩინა დახმარება ქვეყნის

ტერიტორიაზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმიისა და ეთნიკურ ალბანელთა მეამბოხე ჯგუფების განიარაღების პროცესში. ნატოს ძალისხმევის შედეგად დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგი შედგა, რომელსაც სამშვიდობო ჩარჩო-გეგმის შემუშავება და რეგიონში საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოჰყვა. ოჰრიდის ჩარჩო-ხელშეკრულების (Ohrid Framework Agreement) საფუძველზე, 2001 წლის 27 აგვისტოს ოპერაციის, კოდური სახელწოდებით ,,მთავარი მოსავალი'' (Operation Essential Harvest) ფარგლებში ნატომ, მაკედონიაში სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალი შეიყვანა.

ნატოს მისიას ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცების მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის შეგროვება და განადგურება დაევალა. ოცდაათდღიანი ოპერაციის შედეგად ნატოს სამხედრო მოსამსახურეებმა დიდი რაოდენობის იარაღი და სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერება ამოიღეს, რამაც ხელი შეუწყო სამოქალაქო კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილებას. მოგვიანებით, სკოპიეს მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს, მაკედონიის რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების, ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეენარჩუნებინათ მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი. 2003 წლის მარტიდან ნატოს მისია მაკედონიაში ევროკავშირს (EU) გადაებარა.

ნატოს როლი ერაყში

მეტად საინტერესოა ნატოს მისია ერაყში. ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობდა ერაყში,ვროგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით 2004 წლის 7 აგვისტოდან, ქვეყნის შიგნით. ამით ნატო ხელს უწყობდა ერაყის მთავრობას ეფექტიანი შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და მხარს უჭერდა მათი თავდაცვითი შესაძლებლობის ამაღლებას.

2004 წლის 22 ივნისს ერაყის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა თხოვნით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს, დახმარება აღმოეჩინა

ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში. 2004 წლის 28 ივნისს ნატოს სტამბოლის სამიტზე შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ერაყის მთავრობას სამხედრო პერსონალის გაწვრთნაში დახმარებოდნენ. იმავე წლის 30 ივლისს ჩამოყალიბდა ნატოს წვრთნების საიმპლემენტაციო მისია (Training Implementation Mission) ერაყში. თავდაპირველად, წვრთნების საიმპლემენტაციო მისია 50 ოფიცერს აერთიანებდა.

2004 წლის 22 სექტემბერს კი, არსებული რეკომენდაციების საფუძველზე, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ გადაწყვიტა მისიის პირადი შემადგენლობის გაზრდა და ერაყში წვრთნების, განათლებისა და დოქტრინების ცენტრის ჩამოყალიბება. მისიაში მომსახურე პერსონალის რაოდენობა სამას კაცამდე გაიზარდა და მათ ერაყის საშუალო და მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნა დაევალათ.

ამასთანავე, შეიცვალა მისიის სახელწოდება – „ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში" (NATO Training Mission– Iraq). შინაარსობრივად ნატოს საწვრთნელი მისია ერაყში, არასაომარი ხასიათის იყო და ერაყელი სამხედროების გაწვრთნას, აღჭურვასა და ტექნიკურ დახმარებას ისახავდა მიზნად.

ნატოს როლი დარფურში (აფრიკა, სუდანის რესპუბლიკა)

დავიწყოთ იქიდან, რომ 2005 წელს აფრიკის კავშირმა გაზარდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც დარფურში (სუდანი) იყო განლაგებული. ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა რეგიონში ძალადობის შეწყვეტას. 2005 წლის 26 აპრილს, აფრიკის კავშირის (AFRICAN UNION, AU) თავმჯდომარემ ლოგისტიკის საკითხებში გაფართოებული სამშვიდობო მისიისთვის პრაქტიკული დახმარების თხოვნით ნატოს გენერალურ მდივანს მიმართა. რაც მთავარია : ევროკავშირთან, აფრიკის კავშირსა და გაეროსთან კონსულტაციების შემდეგ ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ აფრიკის კავშირის თხოვნა დააკმაყოფილა. 2005 წლის ივნისში ნატომ ოფიციალურად გამოაცხადა მზადყოფნა, დახმარება აღმოეჩინა დარფურში მოქმედი სამშვიდობო მისიისთვის სტრატეგიული გადაადგილების, მისიის პერსონალის სწავლებისა და სამოქალაქო პოლიციელების გადაადგილების

საკითხებში. უკვე , 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის თებერვლამდე მოხდა აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიის 24 000 მოსამსახურის საჰაერო ტრანსპორტირება. ამასთანავე, ნატო უზრუნველყოფდა აფრიკის კავშირის ოფიცერთა სწავლებას მრავალეროვნული სამხედრო შტაბებისა და ინფორმაციის ეფექტიანი მართვის საკითხებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროკავშირთან, რომელიც მხარს უჭერდა აფრიკის კავშირის სამშვიდობო ოპერაციას.

ნატოს როლი ავღანეთში

ყველაფერი დაიწყო საკმაოდ რთულად. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს. მეორე დღეს, 12 სექტემბერს - პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ,,ნატოს ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე თავდასხმას.'' ალიანსმა რა თქმა უნდა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად, მან ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

ამ რეგიონში ხომალდების განთავსება და მათი პატრულირება ხდებოდა- ,,აქტიური ძალისხმევის ოპერაციის'' (Active Endeavor) სახელით, რომელიც მთელ ხმელთაშუა ზღვის რეგიონს მოიცავდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.

2001 წლის დეკემბერში, უკვე , ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება ალქაიდასა და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია) გამართეს კონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის – ,,ავღანეთის დროებითი

ხელისუფლების ჩამოყალიბება'' და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security As- sistance Force – ISAF) ფორმირება.

2002 წლის იანვარში კი - ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF - ის ამოცანები. რაც შეეხება პირველ ნაბიჯებს, თავდაპირველად ISAF-ის მისიას ექვსთვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და ოპერაციებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. 2003 წლის აგვისტოდან კი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მანდატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან. მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობის დახმარება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულითა (ავღანეთის დედაქალაქი) და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა, 2003 წლის ოქტომბრიდან კი მისია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე გაფართოვდა. ოპერაციის გაფართოებასთან ერთად, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების გაძლიერების მიზნით, ნატომ შექმნა ISAF-ის სარდლობას დაქვემდებარებული სამოქალაქო-სამხედრო პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები (Provincial Reconstruction Teams – PRT).

ეს იყო სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში, იცავდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხოებას. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ხოლო , ნატოს ახალი პროგრამა - ,, თანამშრომლობის მისია ავღანეთში''- 2015 წლიდან ამოქმედდა (RSM _

Resolute Support Mission in Afghanistan). ის სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარედა და ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავდა მიზნად.

გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია ავღანეთში 2015 წლიდან დაიწყო ახალი, ორწლიანი მისია, სახელწოდებით- ,,გადამწყვეტი მხარდაჭერა. " მისიის ფარგლებში კი სამხედრო მოსამსახურეების მოვალეობა, უმთავრესად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნა იყო. ამ ოპერაციაში 42 ქვეყანა მონაწილეობდა, სულ - 13.195 მოსამსახურე. აქვე მიშვნელოვანია კვლავ ,საქართველოს როლი და ჩართულობა.

საქართველო 2015 წლიდანვე ჩაერთო ავღანეთში ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით, რიგით მეორე კონტრიბუტორი იყო. 2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მანდატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან.

მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობის დახმარება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულითა (ავღანეთის დედაქალაქი)და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა, 2003 წლის ოქტომბრიდან კი მისია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე გაფართოვდა.

ოპერაციის გაფართოებასთან ერთად, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების გაძლიერების მიზნით, ნატომ შექმნა ISAF-ის სარდლობას დაქვემდებარებული სამოქალაქო-სამხედრო პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები (Provincial Reconstruction Teams – PRT). ეს იყო სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში, იცავდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხოებას,ასევე, მხარს უჭერდნენ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებას.

ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელიწადი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ნატოს როლის, დიდი მნიშვნელობის მაჩვენებელია ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი, რომელიც ქაშმირის კონფლიქტის სახელითაა ცნობილი, რა როლი აკისრია ნატოს ამ ხანგძლივი დაპირისისპირების გადაწყვეტაში და როგორია მისი პოზიცია? საინტერესოა როგორ და რა მიზეზით განახორციელა ნატომ ჰუმანიტარული მისია პაკისტანში ? ამ ფაქტის შეფასებები.

პაკისტანის ისტორიაში ერთ-ერთი ტეხილია ამ სახელმწიფოს ანტიტერორისტული საქმიანობა ნატოსთან მოკავშირეობით. საინტერესოა, რა იყო პაკისტანის თუ ნატოს მიზანი და აშკარად ხომ არ იკვეთება ნატოს პოზიცია ქაშმირის კონფლიქტთან დაკავშირებით? ამ ყველაფერს პასუხი შეიძლება გაეცეს არსებული ფაქტობრივი მონაცემების შეჯერებით, რაც მიგვიყვანს დასკვნამდე, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ნატოს როლს და პოზიციას ქაშმირის კონფლიქტთან მიმართებით.

კონფლიქტის საწყისი პერიოდი მოკლედ რომ მიმოვიხილოთ, მას შემდეგ რაც ინდოეთმა და პაკისტანმა 1947 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქაშმირი ამ ორ ქვეყანას შორის ტერიტორიული დავის ობიექტი გახდა. კონფლიქტში ოთხი მთავარი აქტორია ჩართული – ინდოეთის და პაკისტანის მთავრობები, ქაშმირელები და სამხედრო ძალები, რომლებიც მოქმედებენ ქაშმირში.

ინდოეთის მთავრობის პოზიცია ქაშმირზე წარმოდგენილია შემდეგი ასპექტებით : ,,ჯამუ და ქაშმირი ინდოეთის ინტეგრირებული ნაწილია მისი შესვლისთანავე ამრიგად, სახელმწიფოში არსებული კრიზისი ინდოეთის საშინაო საქმე იყო , პაკისტანს უნდა დაეტოვებინა ის ტერიტორია, რომელიც უკანონოდ ქონდა ოკუპირებული, ნებისმიერი სხვა სახის დისკუსია ქაშმირის პოზიციაზე უნდა ყოფილიყო განხილული მხოლოდ "ინდოეთის კონსტიტუციის" ფარგლებში, ნებისმიერი დისკუსია ქაშმირზე პაკისტანთან მხოლოდ შიმლას ხელშეკრულების პირობებით გაიმართებოდა, რომელიც

ითვალისწინებდა ორმხრივი მოლაპარაკების ჩარჩოს''. პაკისტანის პოზიცია ქაშმირთან დაკავშირებით ემყარებოდა შემდეგ აღქმებს: ქაშმირის ხალხს უნდა გადაეწყვიტა ჯამუსა და ქაშმირის მომავალი და ინდოეთის შტატში მისი პლებისციტის საშუალებით შეერთება; ვინაიდან ორმხრივი ჩარჩო არ მუშაობდა ინდოეთსა და პაკისტანს შორის, მესამე მხარის შუამავლობა არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული.

კონფლიქტის მესამე აქტორი იყო - ქაშმირელები[8]. მოსახლეობა შედგებოდა ოთხი ძირითადი ეთნოსისგან: უმრავლესობას წარმოადგენდა სუნიტი მუსლიმები, ქაშმირელი ბრაჰმანები ე.წ. პანდიტები, რომლებიც ჯამუს რეგიონში ცხოვრობდნენ, ასევე ბუდისტები, რომლებიც ლადახის რეგიონში ცხოვრობდნენ და შიიტი მუსლიმები, რომლებიც კარგილში ცხოვრობდნენ. აქვე უნდა გამოვყოთ სოციალური იდენტობის ფაქტორი.

თვითმყოფადობა ან იდენტურობის საფრთხე არის მრავალრიცხოვანი კონფლიქტების საფუძველი. ინდოელებს მიეცათ საშუალება ქაშმირის წინააღმდეგობა მოექციათ ისლამური ექსტრემიზმის, ფუნდამენტალიზმის, ანტიამერიკული და ანტიდასავლური ბრძოლის პრიზმაში.

მნიშვნელოვანია აშშ-ს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით,რომელსაც თავის დროზე ბილ კლინტონის მთავრობა გამოეხმაურა. ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში, აშშ–ს პოზიცია იყო შემდეგნაირი : აშშ ქაშმირს განიხილავდა სადავო ტერიტორიად, ეს საკითხი მშვიდობიანად უნდა მოეგვარებინა ინდოეთს და პაკისტანს ქაშმირელების (მუსლიმების და არა მუსლიმების) აზრების გათვალისწინებით, აშშ მზად იყო დახმარებოდა თუ ეს ორივე მხარის სურვილი იქნებოდა, აშშ მოუწოდებდა უფლებადამცველებს სააშკარაოზე გამოეტანათ, ორივე მხრიდან ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტი. ასევე ერთ–ერთი აქტორია ჩინეთი. ჩინეთის ოფიციალური პირები თანაგრძნობას გამოხატავდნენ პაკისტანის პოზიციის მიმართ ქაშმირთან დაკავშირებით.

---

[8] ძიძიგური გვანცა - ,, ევროპა, უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი / საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია/ ინტერნეტ რესურსები / Laura Wise, Was NATO's Intervetion in Kosovo in 1999 . 20.02.2021 . გვ 1
articles.yata.ge (ბოლო ნახვა-22.04.2021)

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია, ამ კონფლიქტის მესამე მხარე მოიცავს გაეროს. ინდოეთის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო პაკისტანმა რეზოლუცია წარუდგინა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას, სადაც გამოითქვა შეშფოთება ინდოეთის მიერ ქაშმირში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

პაკისტანი წლების განმავლობაში იბრძოდა ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით გაეროს რეზოლუციებზე დაყრდნობით და განიხილავდა მათ როგორც ერთადერთ გზას დავის გადასაწყვეტად. ასევე ერთ–ერთ აქტორად უნდა განვიხილოთ ჯამუსა და ქაშმირის განთავისუფლების ფრონტი, რომელიც წარმოადგენდა ნაციონალისტურ ეკიპირებას. ის ხელმძღვანელობდა ქაშმირის ბრძოლას 90-იანი წლების დასაწყისში და გარდაქმნა ქაშმირზე ტრადიციული ხედვა, როგორც ტერიტორიული დავა ინდოეთსა და პაკისტანს შორის, ქაშმირის თვითმმართველობისთვის ბრძოლის ხედვით. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ჯამუ და ქაშმირის ხალხთა თვითგამორკვევა.

ნატოს დამოკიდებულების განხილვა ქაშმირის კონფლიქტთან დაკავშირებით საინტერესოა 2000-იანი წლებიდან. ქაშმირის კონფლიქტი წარმოადგენდა ასიმეტრიულ კონფლიქტს, სადაც წარმოდგენილი იყო ძალაუფლების დისბალანსი ინდოეთს, პაკისტანსა და ქაშმირელებს შორის.

ამ კონფლიქტის შემცირებული ასიმეტრიული ბუნება გააძლიერა ორივე სახელმწიფოს მიერ ბირთვული იარაღის ფლობამ. 2002 წელს დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი ჯეფ ჰუნი შეხვდა ნატოს წარმომადგენლებს ბრიუსელში, სადაც დღის წესრიგის მთავარი თემად განხილული იყო ქაშმირის კრიზისი.

იმჟამინდელმა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა, დონალდ რამსფელდმა ჟურნალისტებს განუცხადა: ”როდესაც არსებობს ორი ქვეყანა, რომლებსაც აქვთ ბირთვული იარაღი, დღეს ინდოეთსა და პაკისტანში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სიტუაცია საშიშია”. ლონდონში ინდოეთის უმაღლესმა კომისარმა რონან სენმა აღნიშნა: ”პირველი, ჩვენ ვართ კონტინენტური განზომილების ქვეყანა და არასწორი იქნება შთაბეჭდილების შექმნა, თუნდაც არაპირდაპირი გზით, რომ ომი დაიწყება – და არა მხოლოდ

დაიწყება, არამედ მთელ სუბკონტინენტს მოიცავს. ,,მეორე, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ საშიში შედეგები ამ ქმედებებიდან გამომდინარე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერება და ,,მესამე - ჩვენ ვართ სტაბილური და პასუხისმგებლობის მქონე დემოკრატია და არასწორი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ სულ მცირე - არ ვართ შეშფოთებული ჩვენი მილიარდი მოქალაქის კეთილდღეობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით'' . როგორც ჩანს ქაშმირის კონფლიქტში ჩართული იყო არაერთი აქტორი, იქნებოდა ეს უშუალოდ დაპირისპირებული სახელმწიფოები, ოპოზიციური ძალები, მეზობელი და სხვა სახელმწიფოები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. წარმოდგენილი პოზიციების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული აქტორის პოზიცია მორგებული იყო საკუთარ ინტერესებს.

1953 წელს შემუშავდა ნატოს თანამშრომლობის პროცედურები სახელმწიფოში მომხდარი კატასტროფების შემდეგ დახმარების მიზნით, რაც არ ეხებოდა ნატო-ს არაწევრი სახელმწიფოს თხოვნას, მაგრამ 1992 წლის დეკემბერში ჩრდილოატლანტიკური საბჭო შეთანხმდა, რომ თუ ამას მოითხოვს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია, ნატო მზად უნდა იყოს ამ პროცედურების გასატარებლად ნატოს არაწევრ სახელმწიფოშიც, რაც გაფორმდა კიდეც მინისტერიალის სახელმძღვანელოს სახით სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვისთვის. ნატო-პაკისტანის ურთიერთობაში გარდამტეხი ფაქტორი იყო 2005 წლის 8 ოქტომბრის მიწისძვრა ქაშმირში. 2005 წლის 8 ოქტომბერს, პაკისტანის ჩრდილოეთით და ქაშმირის ჰიმალაის რეგიონში მოხდა 7,6 ბალიანი მიწისძვრა. აკისტანის მთავრობის ოფიციალური დაღუპულთა რიცხვი 87 350 ადამიანი იყო, თუმცა შესაძლებელი იყო, რომ დაღუპულთა რიცხვი 100 000-იც ყოფილიყო. მიწისძვრამ 500 000-ზე მეტი ოჯახი დააზარალა.

უნდა აღინიშნოს ნატოს ჰუმანიტარული მისია, მოიცავდა 3500 ტონა საჭირო მარაგის გადატანას პაკისტანში და ინჟინრების, სამედიცინო პერსონალის და სპეციალური აღჭურვილობის განლაგებას. მიწისძვრის

შედეგად ჰიმალაის მკაცრი ზამთრის დადგომამდე სამ მილიონამდე ადამიანი დარჩა საკვებისა და თავშესაფრის გარეშე.

მისია დასრულდა 2006 წლის 1 თებერვალს. 2005 წლის 27 ოქტომბერს, პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარიკ ოსმან ჰაიდერმა ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სხდომაზე სიტყვით მიმართა და შემდგომი დახმარება სთხოვა. მისი თქმით, ნატოს შეეძლო უზრუნველყო მუდმივი საჰაერო გადაზიდვა, თანხები, ლოჯისტიკური და საჰაერო სივრცის მართვა, მობილური საწვავის ავზები, ვერტმფრენების და ტაქტიკური თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილები, მართვისა და კონტროლის, ზამთრის კარვები და საძილე ტომრები. იმავე დღეს, ნატოს ევროატლანტიკურ კატასტროფებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისაგან მიიღო გადაუდებელი მოთხოვნა პაკისტანში ზამთრის დადგომამდე დამატებითი თავშესაფრისა და რელიეფური ნივთების ტრანსპორტირების შესახებ. ზოგადად ეს ფაქტი ფასდება ნატოს პირველ მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ მისიად. ნატოს მიზანი შეიძლება წარმოვადგინოთ ისეთი სახით, რაც გულისხმობს პარტნიორის შეძენას ავღანეთში არსებული ვითარების სტაბილიზაციის კუთხით, ხოლო რაც შეეხება პაკისტანის მიზნებს აღნიშნული იყო, რომ შესაძლოა პაკისტანის მსგავს ჩართულობას ხელი შეეწყო მისი ინტერესების დაცვის კუთხით ავღანეთის ახალ პოლიტიკურ წყობაში.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ნატოს სამხედრო შენაერთების გაყვანა ავღანეთიდან, რაც შეფასებული იქნა, როგორც ქაშმირის კონფლიქტის გართულების ხელშემწყობ ფაქტორად, რადგან სწორედ ამ ფაქტს მოყვა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევების რაოდენობის ზრდა ქაშმირში. საბოლოოდ, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნატოს პოზიცია ქაშმირის კონფლიქტთან დაკავშირებით იყო შემდეგი: კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სახელმწიფო ფლობდა ბირთვულ იარაღს, რაც საშიშროებას უქმნიდა მსოფლიოს უსაფრთხოების კუთხით. ასევე თვალსაჩინოა ნატოს ახლო ურთიერთობა

პაკისტანთან, რისი მიზნებიც ზემოთ არის განხილული და რაც შეეხება ნატოს როლს, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით წარმართვაში და დაპირისპირებული მხარეების მშვიდობიანი მოლაპარაკებების კუთხით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს დაძაბული ვითარების შემსუბუქებას და საერთაშორისო დანაშაულის შემცირებას. რამოდენიმე მაგალითის მოყვანითაც კი ნათელი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნატოს როლი და აუცილებლობა დღესაც და წარსულშიც. მისი შექმნა ერთ-ერთი სწორი ნაბიჯი და გადაწყვეტილება იყო მსოფლიო ისტორიაში.

თავი II. ხელის შემშლელი ფაქტორები ნატოს მიერ განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებსა და სამშვიდობო პროცესებში და თანამედროვე სამხედრო გამოწვევები.

დავიწყოთ იმით, რომ 1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ[9] თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, ევროატლანტიკური არეალისა და მილიონობით ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს) გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი.

ნატო იყო და არის აქტიური და ლიდერი მშვიდობის დაცვის საკითხებში მსოფლიოს მასშტაბით. ის, ყოველთვის ცდილობს მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს მსოფლიოში არსებული პრობლემური საკითხები, თუმცა დიპლომატიური ხერხების გარდა ძალისმიერ მეთოდებსაც იყენებს – სამხედრო შენაერთებს, ურომლისოდაც რეალური შედეგის მიღწევა

[9] კვარაცხელია გვანცა - საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები '' 23-24 დეკემბერი, 2020 წ. გვ 1 ,3,4. http://css.ge/wp-content/uploads/Gvantsa-Kvaratskhelia (ბოლო ნახვა-1.05.2021)

შეუძლებელი იქნება. დღესდღეობით ნატო ლიდერი ორგანიზაციაა მსოფლიო მასშტაბით კრიზისული სიტუაციების მოგვარების თვალსაზრისითაც, რომელიც დაახლოებით 18 000 სამხედროს იყენებდა სხვადასხვა მისიებში სახმელეთო თუ საჰაერო ოპერაციების შესასრულებლად. მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რუსეთი. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა მისი მემკვიდრე, რუსეთი, კვლავ განაგრძობს ექსპანსიას, რისი მაგალითიცაა უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია.

ნატოს მთავარ იარაღად რჩება კოლექტიური თავდაცვის პრინციპი – წვერ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც ალიანსში შემავალ ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა. შესაბამისად რუსეთის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაქცია წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი და დიპლომატიური გზები, თუმცა თუ რუსეთი გააგრძელებს ტერიტორიების მითვისებას, ნატო იძულებული იქნება ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს მისი მისამართით. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია ანგარიშგასაწევი ფინანსური და მატერიალური რესურსები. დიდი ბრიტანეთისთვის რუსეთი არ არის იმდენად სახიფათო, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის, თუმცა საფრთხის თავიდან ასაცილებლად მზად არის მანაც გაიღოს ხარჯები. ნატოს აქვს ერთიანი სტრუქტურა, სადაც თითოეული წევრი შეთანხმებულად მუშაობს და ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოების აზრს. ყავს მუდმივი ჯარი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოების სამხედროებისაგან.

ალიანსის ერთ-ერთი იარაღი არის ეკონომიკა, რომელიც სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ასევე, ორგანიზაციას კარგად გამოსდის ომის საფრთხეების შემცირება. ამისი ნათელი მაგალითი იყო ცივი ომის პერიოდი, როდესაც ნატომ შეძლო ძალადობრივი შეტევების პრევენცია. ნატო მუდმივად ცდილობს იპოვოს კრიზისული სიტუაციის დაძლევის გზები, რაც, ხშირ შემთხვევაში, ამართლებს კიდეც. კიდევ ერთხელ,დიდი სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ამისი მაგალითი იყო 1995 წელს ბოსნიის ომი, რომელიც

ნატოს ძალისხმევის შედეგად დასრულდა. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებულია და ის ამოცანა, რომელიც ნატომ დაისახა წარმატებით სრულდება.

ძირითადად, შედარებით სუსტი სახელმწიფოები ცდილობენ ამ ეგრეთწოდებულ კოალიციებში გაწევრიანებას, რადგან მათ უბრალოდ ბევრი გზა არ აქვთ დაიცვან თავი, თუმცა ეს გადაწყვეტილება ყოველთვის მომგებიანი როდია. სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამა თუ იმ ალიანსის წევრობა მათ მეტ სარგებელს მოუტანს ვიდრე წევრობამდე იღებდნენ.

სწორედ რეალისტები ურჩევენ სახელმწიფოებს კარგად დაფიქრების შემდეგ გადაწყვიტონ გახდებიან თუ არა ალიანსის წევრები, რადგან არსებობს რამდენიმე შიშის ფაქტორი, რომლებიც დაფიქრებას მოითხოვს. უსაფრთხოება ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობა წარმოუდგენელია.

ის არის: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, მეცნიერული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. აღსანიშნავია ნატოს მიერ განვითარების საფეხურების განხილვა.

მრავალწლიანი არსებობის მანძილზე ჩრდილოატლანტიკურმა ორგანიზაციამ საერთაშორისო თვალსაზრისით ისტორიული მნიშვნელობის მქონე ცვლილებები განახორციელა. ,,ამ ცვლილებებიდან გამოვყობ სამ ცვლილებას, რომელიც ჩემი აზრით ისტორიული ფასეულობების მქონე ცვლილებად ითვლება : ,,1. ნატომ ბოლო მოუღო საუკუნეობრივ „სამოქალაქო ომს'' დასავლეთის ქვეყნებს შორის ტრანსატლანტიკურ და ევროპულ ბატონობაზე,

2.მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა თავისი ინიციატივით, თავის თავზე აიღო ევროპული ქვეყნების დაცვის ვალდებულება, რომლებიც განიცდიდნენ საბჭოურ ზეგავლენას და მესამე , ალიანსმა მიაღწია ისეთ მნიშვნელობის მქონე შეთანხმებას, როგორიც ცივი ომის მშვიდობიანი დასრულება იყო, სწორედ ამ ფაქტმა მოახდინა დემოკრატიული ევროპული კავშირის გაფართოვების წინაპირობის შექმნა.

დღეს ნატო მსოფლიო უსაფრთხოებაში უპრეცედენტო საფრთხეებს აწყდება.'' ჩვენი დროის გამოწვევა და პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო, რომელიც სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება, მუდმივად მზარდ სახალხო არეულობებსა და მღელვარებას განიცდის, თუმცა ქაოსის ამ მზარდ საფრთხესთან ბრძოლისთვის, რომელიც ბოლო დროს კაცობრიობის პოლიტიკური გამოფხიზლების შედეგია, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტური მექანიზმი.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმას,რომ უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21-ე საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. ნატოს დიდი როლი მიუძღვის საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებაში. ვერც ეუთომ, ვერც გაერომ და ვერც სხვა კონფლიქტების დარეგულირებაზე მომუშავე რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ვერ შეძლო შეეჩერებინა სისხლისღვრა.

საქართველოს შემთხვევაშიც ასევე, მისი წევრობა სასარგებლოა რეგიონისათვისაც, რადგან უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხრეთ კავკასიაში აუცილებელია. რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, ახალი მილსადენების აშენებით ენერგიით სავსე კასპიის რეგიონიდან შავ და ხმელთაშუა ზღვაში.

კარგი მდებარეობიდან და სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაციიდან გამოდინარე რეგიონს შეუძლია მნიშვნელოვნად მოახდინოს ევროპისათვის ენერგიის მიწოდების დივერსიფიკაცია და გახდეს მომავალი ევროპის ენერგო უსაფრთხოების გარანტი საქართველო, როგორ ნატოს წევრი ქვეყანა, იქნება სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის წყარო და მოდელი.

2.1 პოლიტიკური ფაქტორები ნატოს წევრი ქვეყნებისთვის თანამედროვე სამხედრო საფრთხეებთან ბრძოლაში.

თანამედროვესთან ერთად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ძველი პოლიტიკური და სამხედრო ვითარება ნატოს ჩართულობით. დავიწყოთ მეტად საინტერესო საკითხით, როდესაც საბერძნეთის მეამბოხეთა დამარცხება მოხდა. 1952 წელს, ნატოში გაერთიანების წყალობით, საბერძნეთში კომუნისტი მეამბოხეები დამარცხდნენ, ქვეყანა დამშვიდდა და განვითარების გზას დაადგა.

ხოლო თურქეთი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას საბჭოთა კავშირი დაუფარავად ემუქრებოდა და ბოსფორის სრუტის დათმობას სთხოვდა (ეს სრუტე შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვისგან ჰყოფს და მისი მიტაცება საუკუნეების განმავლობაში რუსეთის იმპერიის ოცნება იყო). კომუნისტურ რეჟიმსა თუ საბჭოთა აგრესიას ორივე ქვეყანა გადაურჩა. თუმცა, მათ შორის წინააღმდეგობები ბოლომდე არ გამქრალა.

შემდეგი საკითხი, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. 1974 წელს, თურქეთმა კვიპროსზე ჯარი შეიყვანა, რამაც საბერძნეთთან მისი ურთიერთობები ისე დაძაბა, რომ შესაძლებელი იყო საქმე კონფლიქტამდეც მისულიყო, რომ არა ნატო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1950-52 წლებში ბერძნებმა და კიდევ უფრო მეტად თურქებმა თავი გამოიჩინეს კორეის ომში, რომელიც სტალინის წაქეზებით კომუნისტურმა ჩრდილო კორეამ სამხრეთ კორეის წინააღმდეგ წამოიწყო. ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების ჩარევის შედეგად, სამხრეთ კორეა გადარჩა. ბერძნებმა და თურქებმა კი დაამტკიცეს, რომ მათ არა მხოლოდ თავის დაცვა, არამედ უსაფრთხოების განმტკიცებაში წვლილის შეტანაც შეეძლოთ. საბჭოთა კავშირის ქმედებებმა ამ ომის დროს დასავლეთი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ კომუნიზმი უზარმაზარ საფრთხეს წარმოადგენდა და ამიტომაც, ნატო აუცილებლად უნდა გაძლიერებულიყო. კორეის ომი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების (1953 წელი) შემდეგ დასრულდა .

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ახალი წევრი ნატოს 1955 წელს შეუერთდა, ეს იყო დასავლეთ გერმანია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დამარცხებული გერმანია ოთხ საოკუპაციო ზონად იყო დაყოფილი, მაგრამ დასავლეთში მალე მიხვდნენ, რომ ასეთი პოლიტიკა წამგებიანი იყო – გერმანიის მუდმივად გაკონტროლების მცდელობას ხარჯისა

და გერმანელი ხალხის გაუცხოების მეტი არაფერი მოჰქონდა, მაშინ როცა მისი სახით კარგი მოკავშირის შეძენა შეიძლებოდა.

1947-1948 წლებში, ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული საოკუპაციო ზონები გაერთიანდა. ამ გადაწყვეტილებამ საშინლად გააღიზიანა სტალინი, რომელმაც პასუხად დასავლეთ ბერლინის ბლოკადაში მოქცევა ბრძანა (ბერლინიც ზონებად იყო დაყოფილი, მაგრამ ქალაქი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მდებარეობდა და ამგვარად დაუცველი და მოწყვლადი იყო). მოსკოვში ალბათ ელოდნენ, რომ ბლოკადა დასავლეთ ბერლინსაც გასტეხდა და მთლიანად დასავლეთსაც ააღებინებდა ხელს გერმანიაში თავისი გეგმების განხორციელებაზე.

მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა, ბრიტანელებმა, ფრანგებმა და კანადელებმა საოცრება ჩაიდინეს - 24-საათიან რეჟიმში თვეების განმავლობაში, ჰაერიდან ამარაგებდნენ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას საკვებით, საწვავით, მედიკამენტებით და გამოუცხადებელი ომი მოიგეს.

მოსკოვი იძულებული გახდა ბლოკადა მოეხსნა და უკან დაეხია, 1949 წელს კი, სამი გაერთიანებული საოკუპაციო ზონისგან დასავლეთ გერმანია იშვა.საბჭოთა კავშირისათვის ეს უკვე მძიმე მარცხი იყო, მაგრამ უფრო მძიმე მარცხი – გერმანიის ნატოში შესვლა მოსკოვს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

დასავლეთ ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს ამერიკელების მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსში შესვლა საბჭოთა კავშირისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მოსკოვმა ამერიკელებს გერმანიის სრულფასოვანი გაერთიანება შესთავაზა – აღმოსავლეთ გერმანიის (საბჭოთა საოკუპაციო ზონის) დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანება იმ პირობით, რომ ერთიანი გერმანია ნატოში არ შევიდოდა და ნეიტრალურ ქვეყნად იქცეოდა, ეს დიდი ცდუნება იყო. გერმანელები გაერთიანებაზე ოცნებობდნენ და ეს გარემოება კარგად ესმოდათ ამერიკაშიც. მაგრამ საბოლოოდ ამერიკაშიც და დასავლეთ გერმანიაშიც გადაწყვიტეს, რომ მოსკოვის წინადადება არ მიეღოთ.

იმ პერიოდში, გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა მიიჩნია, რომ სჯობდა დასავლეთ გერმანია მოკავშირეებთან ერთად გაძლიერებულიყო,

განვითარებულიყო და გაერთიანებისათვის უფრო ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა. ამერიკაშიც მიიჩნიეს, რომ გერმანიის ნეიტრალიზაცია სახიფათო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს ქვეყნიდან ამერიკული ჯარის გასვლას ნიშნავდა, რომელიც სადმე შორს უნდა გადაბარგებულიყო (ან სულაც ამერიკაში დაბრუნებულიყო).

მაშინ, როცა საბჭოთა ჯარი იქვე ახლოს დარჩებოდა – პოლონეთში ან თავად საბჭოთა კავშირის. დასავლეთ ნაწილში და ხელსაყრელ მომენტში შეჭრილიყო მოკავშირეებისგან მიტოვებულ გერმანიაში.

მოსკოვის მიერ ნეიტრალიტეტის თემით სპეკულაცია და მანიპულაცია ახალი არ არის. ამ შემთხვევაში საინტერესოა საქართველოს ფაქტორის განხილვაც. 1920 წელს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნო და სანაცვლოდ, საქართველო ნეიტრალიტეტზე დაითანხმა.

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ცდუნებაზე უარი თქვეს და ალიანსს მეტად სერიოზული მოთამაშე შეემატა. მოსკოვმა ამის საპასუხოდ საკუთარი სამხედრო ალიანსი შექმნა – ვარშავის პაქტის ორგანიზაცია, სადაც თავისი ევროპელი სატელიტები შეიყვანა. ამ ქვეყნების მოქალაქეებს არაფერს არ ეკითხებოდნენ იმაზე, თუ რატომ აიძულეს ალიანსში გაერთიანება. ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველაფერს ადგილობრივი კომუნისტური პარტიები განაგებდნენ, რომლებიც ანგარიშს მოსკოვს აბარებდნენ. აქ არჩევნები ფიქციას წარმოადგენდა, რადგან სხვა პარტიები უბრალოდ არ არსებობდა.

განსაკუთრებული სისატიკით აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმი გამოირჩეოდა, რომელსაც პრობლემებს უქმნიდა მის გვერდით განვითარებული, თავისუფალი დასავლეთ გერმანიის არსებობა, მით უმეტეს კი, დასავლეთ ბერლინში.

აღმოსავლეთ ბერლინის მაცხოვრებლები მასიურად გარბოდნენ დასავლეთში და საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ შესაჩერებლად კომუნისტურმა ხელისუფლებამ კედელიც კი ააშენა, რომლითაც ორი ბერლინი ერთმანეთისგან გაჰყო, მაგრამ აღმოსავლეთ ბერლინის

მაცხოვრებლებმა კედლის ქვეშ გვირაბების გაყვანა დაიწყეს და ასე ახერხებდნენ დასავლეთში გაპარვას. მოსკოვში ხვდებოდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის კონტროლი რთული იქნებოდა, მაგრამ უკან არ იხევდნენ. 1956 წელს კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ უნგრელები აჯანყდნენ და ვარშავის პაქტიდან გასვლის სურვილიც გამოთქვეს. მოსკოვმა პასუხად უნგრეთში ჯარები შეიყვანა, აჯანყება სისხლში ჩაახშო და ამით ყველას დაანახა, რომ მისი კონტროლიდან გასვლას არაფრით არ დაუშვებდა.

დასავლეთში გაჩენილი ილუზია, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერი ხრუშჩოვი კომუნიზმს ცივილურ სახეს მისცემდა, სწრაფადვე გაქრა.ხრუშჩოვი შესაძლოა სტალინივით სასტიკი არ იყო, მაგრამ ეს მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა. უნგრეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის ფონზე დასავლეთ ევროპის სახელწიფოებისათვის ნატო კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა. 1966 წელს ნატოს სამხედრო სტრუქტურა საფრანგეთმა დატოვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ამერიკელებს მოსთხოვა, მის ქვეყანას ალიანსზე ისეთივე გავლენა ჰქონოდა როგორც აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს.

საფრანგეთი ნატოში დაჩაგრული ნამდვილად არ იყო, სხვა თუ არაფერი, ინგლისურთან ერთად ფრანგული ალიანსის ოფიციალურ ენას წარმოადგენდა. მაგრამ დე გოლს სურდა საფრანგეთის როლი და გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში მკვეთრად აემაღლებინა და ამგვარად, ფრანგი ხალხისათვის მეორე მსოფლიო ომში შერყეული თვითრწმენა დაებრუნებინა. ვერ მიიღო რა მოთხოვნაზე მისთვის დამაკმაყოფილებელი პასუხი, დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი თავად მიხედავდა საკუთარ თავს და ატომურ იარაღსაც თავად შექმნიდა. ნატოს სხვა წევრებს (პირველ რიგში, ამერიკელებს) მან საფრანგეთიდან სამხედრო მოსამსახურეების გაყვანა მოსთხოვა.

„საფრანგეთში, თქვენი თავისუფლებისათვის დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების საფლავებიც ხომ არ გავიყოლოთ?“ – მწარედ ჰკითხა საფრანგეთის პრეზიდენტს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა (საგარეო მინისტრმა).

იმავე პერიოდში, დე გოლის გადაწყვეტილებით პარიზში გაუქმდა ნატოს შტაბ-ბინა, სადაც იგი 1952 წლიდან ფუნქციონირებდა (იქამდე შტაბ-ბინა

ლონდონში იყო განთავსებული). სასწრაფო წესით ნატო ბრიუსელში გადაბარგდა და მისი შტაბ-ბინა დღემდე იქ არის.პარალელურად, დე გოლი შეეცადა საბჭოთა კავშირთან დამოუკიდებლად დაელაგებინა ურთიერთობები და მოსკოვი რაღაც დათმობებზე დაეთანხმებინა, საიდანაც არაფერი გამოვიდა. თუმცა, საფრანგეთმა საკუთარი ატომური ბომბი შექმნა და ამ მხრივ ცალკე მოთამაშედ იქცა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ საბჭოთა კავშირი შეურყეველი იყო,კომუნიზმი კი მუდმივად იარსებებდა. ამიტომაც, უკეთესი იყო ამ რეალობიდან გამომდინარე მოსკოვთან მოლაპარაკება და ურთიერთობების ერთხელ და სამუდამოდ გარკვევა.

დასავლეთ გერმანიის ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ინტენსიური დიალოგი წამოიწყო, დაძაბულობა გაანელა და კომპრომისულად გადაწყვიტა აღმოსავლეთ გერმანიისა და ბერლინის საკითხები. ამის შემდეგ გადაწყდა ევროპაში უსაფრთხოების საკითხებზე დიდი კონფერენცია მოეწვიათ, სადაც დასავლეთსა და კომუნისტურ ბლოკს შორის ურთიერთობები დალაგდებოდა.

კონფერენცია ჰელსინკში გაიმართა და მას ყველანაირად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ კონფერენცია ნატოს მეორეხარისხოვან ორგანიზაციად აქცევდა – დასავლეთ ევროპა მოსკოვისგან გარკვეულ გარანტიებს მიიღებდა და ამერიკელების მფარველობა აღარ დასჭირდებოდა. ამერიკელების ევროპიდან გასტუმრებას და ამის შემდეგ კონტინენტზე თავისი გავლენის გავრცელებას საბჭოთა კავშირი 1945 წლის მერე ოცნებობდა და ამ ოცნებას სწორედ ნატოს შექმნამ გადაუსვა ხაზი.

1975 წელს ჰელსინკის კონფერენციამ საბოლოო აქტი მიიღო, რომლითაც ევროპაში არსებული საზღვრები ხელშეუხებლად გამოცხადდა. ეს იყო ის, რაც საბჭოთა კავშირს სურდა – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიტაცებული ტერიტორიებისა და მოპოვებული გავლენის სფეროების დაკანონება. მართალია, ჰელსინკის აქტმა ხელმომწერ ქვეყნებს ადამიანის უფლებების დაცვაც დააკისრა, რაც საბჭოთა კავშირისათვის დიდად სასიამოვნო არ იყო და მისთვის გარკვეული პრობლემებიც შეიძლებოდა შეექმნა, მაგრამ საბჭოთა კავშირი იმდენად ძლიერი ჩანდა, რომ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

ყველაფრის მიუხედავად, ნატოს დაშლა არავის უფიქრია. ალიანსი კვლავაც არსებობდა და მის წევრებს ვერავინ ეხებოდა. 1982 წელს, მის რიგებს ესპანეთი შეემატა.

ამ ქვეყნის გაწევრება იმის გამო დაგვიანდა, რომ მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მას ფრანკო მართავდა. მართალია, იგი ანტიკომუნისტი იყო, მაგრამ ამავე დროს ქვეყანაში საშინელი დიქტატურა ჰქონდა დამყარებული და შესაბამისად, მის ხელში ნატოსთან დაახლოებაზე ლაპარაკიც არავის სურდა. მისი გარდაცვალების (1975 წელი) შემდეგ, ესპანეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგა და ნატოსაც შეუერთდა. 1979 წელს, საბჭოთა კავშირმა ავღანეთში შეიყვანა ჯარები. ერთი შეხედვით, ეს კომუნიზმის კიდევ ერთ გამარჯვებას ჰგავდა.

წვრთნები იმდენად მასშტაბური იყო, რომ მოსკოვში შეშინდნენ და ჩათვალეს, რომ ამერიკელები მართლაც აპირებდნენ ბირთვული ომის დაწყებას. რეიგანი ამით არ დაკმაყოფილდა და ე. წ.ვარსკვლავური ომების პროგრამა წამოიწყო, რომელიც გულისხმობდა კოსმოსში ანტისარაკეტო სისტემების განთავსებას და საბჭოთა ატომური იარაღის იქიდან განადგურებას. პროგრამა საბოლოოდ ვერ განხორციელდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მმართველები კიდევ უფრო მეტად დააფრთხო. ეს კი, მაშინ ხდებოდა, როდესაც საბჭოთა კავშირის მმართველები ერთი მეორეს მიყოლებით კვდებოდნენ. ჯერ იყო და 1982 წლის ბოლოს გარდაიცვალა დაბერებული და დაავადმყოფებული ბრეჟნევი.

1985 წელს, საბჭოთა კავშირი ახალგაზრდა მიხეილ გორბაჩოვმა გადაიბარა, რომელიც კარგად ხვდებოდა, რომ საბჭოთა კავშირს ცვლილებები ესაჭიროებოდა. ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაცია იყო, რასაც ნავთობის გაიაფება დაემატა და ასეთ პირობებში ამერიკასთან გაჯიბრება მოსკოვს მეტისმეტად ძვირად უჯდებოდა. ვიდრე საბჭოთა კავშირი ნავთობიდან მიღებული ფულით კომუნიზმს ავრცელებდა, დასავლეთში ეკონომიკა და ტექნოლოგიები ვითარდებოდა. დასავლეთში გაჩნდა პერსონალური კომპიუტერები, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში საბეჭდი მანქანებიც კი, მკაცრ აღრიცხვაზე იყო აყვანილი (რათა ამ მანქანებზე ანტისაბჭოთა პროკლამაციები არ დაებეჭდათ). რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კომუნიზმის იდეალების

საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად, აღარავის სჯეროდა, ქვეყანას კორუფცია ანადგურებდა და მოქალაქეები დასავლურ ცხოვრებას შენატროდნენ. ბზარები გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში, კონკრეტულად კი, პოლონეთში, რომელსაც მოსკოვისგან გათავისუფლება სურდა.

ბრეჟნევი თავიდან პოლონეთშიც იგივეს გაკეთებას აპირებდა, რაც ჩეხოსლოვაკიაში გააკეთა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაბედა, მით უფრო, რომ საბჭოთა ჯარები ამ დროს სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდნენ ავღანეთის ჭაობში. ეს უკანასკნელი წარმატების ნაცვლად კატასტროფად იქცა – ამერიკელები ავღანელებს იარაღით ამარაგებდნენ და საბჭოთა ჯარი უზარმაზარ მსხვერპლს ნახულობდა. პოლონეთის დასაშოშმინებლად მოსკოვი მას უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას უწევდა, რაც კიდევ უფრო მძიმედ ურტყამდა შემცირებულ საბჭოთა ბიუჯეტს.

ასეთი მემკვიდრეობა გადაიბარა გორბაჩოვმა, საბჭოთა ლიდერებს შორის ყველაზე ცივილურმა ადამიანმა. მას დიდი გეგმები ჰქონდა – საბჭოთა ეკონომიკის მოდერნიზება და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია. ეს მცდელობები, როგორც ვიცით, იმით დასრულდა, რომ კომუნისტური ბლოკი ჩამოიშალა, საბჭოთა ჯარები არა მხოლოდ ავღანეთიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპიდანაც გავიდნენ, გერმანია გაერთიანდა და დაიშალა თვით საბჭოთა კავშირიც (1991წლის დეკემბერში). ნატოს საპირწონედ შექმნილი ვარშავის პაქტი ცოტა უფრო ადრე, 1991 წლის ივლისში დაიშალა. რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ვარშავის პაქტი აღმოსავლეთ ევროპას იძულებით მოახვიეს თავს და როგორც კი იძულება დასრულდა – პაქტიც გაქრა, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს იგი არაფერში სჭირდებოდათ. ყველაზე საინტერესო ამ პროცესში გერმანიის გაერთიანება იყო. მოსკოვი ხვდებოდა, რომ ეს გარდაუვალი იყო და სანაცვლოდ, ისევ და ისევ გერმანიის ნატოდან გამოსვლას მოითხოვა.მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა გორბაჩოვი დაარწმუნეს, რომ გერმანიისნაირი ძლიერი და ამბიციური ქვეყანა ნატოს გარეთ გაცილებით უფრო საშიში იქნებოდა, ვიდრე ნატოს ფარგლებში, სადაც იგი ალიანსის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში კი, ამერიკელების პოზიციას გაუწევდა ანგარიშს.

გორბაჩოვისათვის ეს არგუმენტი დამაჯერებელი აღმოჩნდა. ასე შედგა ის გაერთიანება, რომლის იმედზეც ადენაუერმა ოდესღაც გადაწყვიტა, რომ მისი ქვეყანა ნატოში უნდა დარჩენილიყო, თუნდაც აღმოსავლეთ ნაწილის გარეშე. გერმანიის გაერთიანებასა და ნატოში დარჩენის თაობაზე საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებების დროს შედგა დიალოგი, რომელმაც მოგვიანებით, საფუძველი დაუდო მცდარ მოსაზრებას, რომ ვითომ ამერიკელები მოსკოვს შეპირდნენ, რომ ნატო აღარ გაფართოვდებოდა.

სინამდვილეში კი, საბჭოთა მხარემ ამერიკელებს მოსთხოვა, რომ თუ გერმანია ნატოში დარჩებოდა, მაშინ ნატოს აღმოსავლეთით არ უნდა გადმოენაცვლა. ამერიკელებმა ამაზე თანხმობით უპასუხეს, რადგან გადაწყვიტეს, რომ საუბარი მიდიოდა ნატოს ინფრასტრუქტურაზე გერმანიის შიგნით. ამ დიალოგზე დაყრდნობით,მოსკოვი დიდი ხანი ირწმუნებოდა, რომ ამერიკისგან ნატოს არგაფართოების ზეპირი დაპირება მიიღო, რომელიც დაირღვა. რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს გორბაჩოვს აბრალებდა, რომელმაც „ამერიკელებს წერილობითი დაპირება არ შეუსრულა''.

ძნელი სათქმელია რამდენად წავიდოდა ამერიკა ასეთი თანხმობის ფორმალურად მიცემაზე, მით უმეტეს, რომ ნატოზე მათი უზარმაზარი გავლენის მიუხედავად, მთელი ალიანსის სახელით მათ ასეთი დაპირების გაცემა მაინც არ შეეძლოთ. ისტორიული რაკურსის გათვალიწინებით ,უნდა ვიფიქროთ,რომ რთული პოლიტიკური და სამხედრო სიტუაცია იყო წარსულში.

დღესაც არის სამხედრო და პოლიტიკური პრობლემები მსოფლიოში, ნატო აწარმოებს სამშვიდობო მისიებს კონფლიქტურ რეგიონებში და ცდილობს მოაგვაროს სამხედრო გამოწვევების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტების ესკალაცია. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება დღესაც აღნიშნავს, რომ რადგან ცივი ომი დასრულდა, ვარშავის პაქტთან ერთად ნატოც უნდა დაშლილიყო. ეს აბსურდია, რადგან ვარშავის პაქტი დაიშალა მისი წევრების ნებით. ნატოს წევრ ქვეყნებს კი მისი დაშლის სურვილი არ გამოუთქვამთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნატო მათ თავიანთი ნებით შექმნეს და ისინი იქ ძალით არავის შეუყვანია.

განსხვავებით ვარშავის პაქტისგან, ნატოში შესვლას დემოკრატიულად არჩეული მთავრობები წყვეტდნენ, რომლებიც საკუთარი ხალხების ნებას გამოხატავდნენ.

საინტერესოა განხილვის საგნად ვაქციოთ, რუსეთი და მისი ნაბიჯები , რაც ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების გაფორმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) დე ფაქტო მთავრობებთან, მზარდი მილიტარიზაცია და ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების არარსებობა ზრდიდა პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკს. გარდა სამხედრო საფრთხეებისა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ტრანსნაციონალური/ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებისთვის.

რაც შეეხება რეგიონული მასშტაბით რუსეთის აგრესიას, შავი ზღვის რეგიონში ბოლო პერიოდში არსებული უსაფრთხოების კომპლექსური და არამდგრადი ვითარება, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენდა როგორც მთლიანად რეგიონის, ისე საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

ძალზედ მნიშვნელოვანია, ცნობილი საავიაციო ისტორისოსის მაიკლ ნაპიერის მოსაზრება ,საჰაერო ძალების მნიშვნელობასთან დაკავშირებით(სამხედრო კუთხით) ,, ცნობილი საავიაციო ისტორიკოსის, მაიკლ ნაპიერისგან,ის აღნიშნავს, რომ მისი წიგნი მნიშვნელოვანი წინამძღვარია იმ პერიოდისთვის, ცივი ომის პერიოდზე საუბრობს. ეს არის ძალზე ილუსტრირებული გამოკითხვა იმ საჰაერო ძალების შესახებ, რომლებიც ნატოსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებმა გამოიყენეს მთელი ცივი ომის განმავლობაში.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობებში დომინირებდა ცივი ომი. 1949 წლიდან ბერლინის კედლის

დანგრევამდე 1989 წლამდე აშშ და საბჭოთა სტრატეგიული ძალები განლაგდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩრდილოეთ რუსეთში ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის გადაღმა, ხოლო მსოფლიოში საუკეთესოდ აღჭურვილი შეიარაღებული ძალები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ პირდაპირ

,,რკინის ფარდა ”ევროპაში.

აღიარებული ისტორიკოსი მაიკლ ნაპიერი[10] თავის მხრივ მიმოიხილავს ომის თითოეულ ათწლეულს, შეისწავლის ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩრდილოეთ რუსეთში სტრატეგიული შეტევითი და თავდაცვითი ძალების განლაგებას, ასევე ევროპაში არსებულ ვითარებას. იგი დეტალურად აღწერს სტრატეგიულ ძალებსა და სახმელეთო ტაქტიკურ თვითმფრინავებს, რომლებსაც იყენებენ აშშ-ს, სსრკ-ს, ნატოს, ვარშავის პაქტის ქვეყნებისა და ევროპის არაწევრი ქვეყნების საჰაერო ძალები.

უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე შექმნილი არასტაბილურობა უარყოფითად აისახებოდა რეგიონის მდგრად განვითარებაზე.

საქართველოს რაც შეეხება,ნატო მიერ წამოწყებული მისიებში მონაწილეობითაც შგვიძია დავასკვნათ,რომ აგრძელებს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს შეიარაღებული ძალების განვითარებისა და ტრანსფორმაციის მხარდაჭერას და ერთიანი სახელისუფლებო ხედვის ფარგლებში გააძლიერებს უწყებათშორის თანამშრომლობას ქვეყნის თავდაცვის რესურსების ეფექტიანი მართვისთვის. საქართველოს მეზობელი ქვეყნის, რუსეთის ფედერაციის მზარდი მილიტარიზაცია, სამხედრო ძალების მოდერნიზება და რეგიონზე ზეგავლენის განმტკიცების მცდელობა, ზრდის აგრესიის გაგრძელების რისკს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ძალების ყოფნის პირობებში, შენარჩუნდა ფართომასშტაბიანი აგრესიის განახლების საფრთხე. საქართველოზე ზეგავლენის განმტკიცების მიზნით

[10] მაიკლ ნაპიერი / In Cold War Skies: NATO and Soviet Air Power, 1949–89 Hardcover – September 22, 2020 გვ. 1 https://www.amazon.com/Cold-War-Skies-Soviet-1949-89 (ბოლო ნახვა-3.05.2021)

რუსეთის ფედერაცია აგრძელებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე „სამართლებრივი საფუძვლების“ შექმნის მცდელობებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით. ამასთან, ნარჩუნდებოდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიროტორიების მიტაცების, სტრატეგიული ინფრასტრუქტურის დაკავებისა და სხვა ტიპის პროვოკაციების საფრთხე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი არასტაბილურობა ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ტრეფიკინგისთვის.

რუსეთი აგრძელებდა ძალისხმევას საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის დასუსტების, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისა და მართვადი დესტაბილიზაციის შექმნის მიმართულებით.

რაც შეეხება ამერიკასთან ურთიერთობას, მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც რუსეთის მეზობელი პატარა ქვეყნის საკითხის განხილვაც ნატოსთან თანამშრომლობის კონტექსტში. საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობა და აშშ-ის მყარი პოლიტიკური მხარდაჭერა დარჩა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შეკავების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობდა საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას.

ხაზი უნდა გაესვას ნატოსთან ურთიერთობას და მის წვლილს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და ნატოს კომპეტენციას სამხედრო საბრთხეებთან და ზოგადად, ბრძოლის საქმეში. საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობა მოიცავს წევრობისთვის მოსამზადებლად საჭირო ყველა პრაქტიკულ მექანიზმს დღესდღეისობით (ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი და სხვა).

საქართველო გააგრძელებს ნატოსთან არსებულ თანამშრომლობის ინსტრუმენტების წარმატებით განხორციელებასა და ორმხრივი/მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს ალიანსში გაწევრიანების პროცესს. პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, საქართველო

ემზადება ნატოში სრული ინტეგრაციისათვის. საქართველო, როგორც ნატოს ასპირანტი და საიმედო პარტნიორი გააგრძელებს აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო და სტაბილურობის შენარჩუნების მისიებში და ნატოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო სწავლებებში.

აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას და დაამტკიცებს, რომ საქართველო არა მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი, არამედ მიმწოდებელი ქვეყანაა. საქართველო გეგმავს ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავებას შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით.

ომთან დაკავშირებით თავისი საინტერესო მოსაზრება გააჩნდა კისინჯერსაც, რომელიც კონრეტული ომის კონკრეტულ ასპექტებს აღწერს და თავის აზრს თავისუფლად გამოხატავს - ,, ვიეტნამის ამერიკული ომი 1973 წელს დასრულდა რვაწლიანი ბრძოლის, სისხლისღვრისა და დანაკარგების შემდეგ. ომის დასრულების შემდეგ ზავის პირობები ფაქტობრივად იდენტური იყო იმის, რაც ნიქსონის ადმინისტრაციას შესთავაზეს ოთხი წლით ადრე. ამ ოთხი წლის განმავლობაში ამერიკასა და ვიეტნამს ათასობით სიცოცხლე და მილიარდობით დოლარი დაუჯდა და ეს პირდაპირი შედეგი იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ხმის სავარაუდო გენერალური გეგმისა: ჰენრი კისინჯერისა.

ნიქსონის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ახლად ხელმისაწვდომი საარქივო მასალის, კისინჯერის [11] პირადი ნაშრომების და ვიეტნამის არქივების მასალების გამოყენებით, რობერტ კ. ამის ნაცვლად, იგი აშენებს ოპორტუნისტი და სავარაუდო პოლიტიკოსის პორტრეტს. კისინჯერის ქმედებებს განაპირობებდა პირადი პოლიტიკური მეტოქეობა, საშინაო პოლიტიკური კლიმატი და სტრატეგიული დაბნეულობა. არ არსებობდა რაიმე

[11] ჰენრი კისინჯერი. Airpower-Applied-Experience-Military / Aviation/ September 4, 2018 გვ 1 https://www.amazon.com (ბოლო ნახვა-6.05.2021)

დიდი გენერალური გეგმა ან ბისმარკის თეორია, რომელიც მხარს უჭერდა აშშ-ს ომის გაგრძელების ან სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩატარებას. მისი სიგრძე გაორმაგდა არაფერში, გარდა ეგოსა და ერთი ფიგურის ცუდი განსჯისა.ამ შორეულმა ტრაგედიამ, რომელიც კისინჯერის ქმედებებით გაგრძელდა, სამუდამოდ შეცვალა ორივე ქვეყანა.

ახლა, ალბათ პირველად, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ამ ტრაგედიის სრული მასშტაბები და მაქინაციები, რომლებიც მას საზრდოს აძლევდა''.

2.2 ნატოს კომპეტენცია სამხედრო საფრთხეებთან ბრძოლის საქმეში.

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ წითელი ხაზები, რომლებიც ისტორიულად გვაქვს მსოფლიოს. ეს, ის წითელი ხაზებია ,რომლებიც დიპლომატიური და სამხედრო ომების და დაპირისპირებების შემდეგ გაევლო და ჩაეწერა მსოფლიო ისტორიაში.

მსოფლიოს ყველაზე ინტენსიური "წითელი ხაზების" საინტერესო და გასანათებელი ისტორიები, დიპლომატიური და სამხედრო გამოწვევებიდან, ისტორიის განსაკუთრებული გარდატეხებიდან, დაწყებული მოვლენებით, რომლებიც გეოპოლიტიკას ტონავს დღეს.

დღეს მსოფლიოში უფრო მეტი წითელი ხაზი არსებობს, ვიდრე ისტორიის ნებისმიერ სხვა მომენტში. მაგალითად , მიუნხენში იყო წითელი ხაზი, რამაც გამოიწვია მეორე მსოფლიო ომი, წითელი ხაზები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, კორეის ნახევარკუნძულზე, სირიასა და შუა აღმოსავლეთში.მსოფლიოს მასშტაბით გადაკვეთისას, დევიდ ა. ანდელმანი[12], ვეტერანი New York Times-ისა და CBS News- ის კორესპონდენტი, იყენებს ორიგინალ დოკუმენტურ კვლევას, ადრე კლასიფიცირებულ მასალას, ამ თემის განხილვისას, ასევე ინტერვიუებს წამყვან მოთამაშეებთან და რეპორტაჟს 80 – ზე მეტი ქვეყნიდან ხუთი ათწლეულის განმავლობაში, რათა დაგვეხმაროს გავიგოთ ის ზრდა,

[12] დევიდ ა. ანდელმანი / A Red Line in the Sand: Diplomacy, Strategy, and the History of Wars That Might Still
Happen / Jan 5, 2021 გვ 1 . https://www.amazon.com (ბოლო ნახვა-10.05.2021)

წარმატებები და ხშირი წარუმატებლობები, რომლებმაც განაპირობა ჩვენი სამყარო დღეს.

ანდელმანი,ასევე , გთავაზობთ არა მხოლოდ ნათელ ისტორიულ კონტექსტს, არამედ ამ წითელი ხაზების პოლიტიკურ ანატომიას. როგორ შეიძლება ხელი შეუშალოს მათ წარუმატებლობებს წინსვლაში? როდის და როგორ შეიძლება ქვიშაში ასეთი ხაზები უფრო მეტად დაეხმაროს მშვიდობას და არა მაცდურ კონფლიქტს? ქვიშის წითელი ხაზი ჩვენი დღევანდელი და მომავლის სასიცოცხლო შემოწმებაა - სად მთავრდება დიპლომატია და იწყება ომი? ეს არის ყველა ლიდერის, დიპლომატის, მოქალაქის და ამომრჩეველის ტოლფასი ობიექტის გაკვეთილი. ნატო წლების განმავლობაში მონაწილეობდა სამშვიდობო აქციებში.

ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნატო, გაეროს სახელით, ასრულებდა სამშვიდობო მისიებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ბალკანეთის ჩათვლით: ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოში. ნატოს მისია გაეროს მიერ დაცულ სერბულ პროვინციაში კოსოვოში თავდაპირველად ორი წლის განმავლობაში იყო დაგეგმილი.კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, ნატოს მისიების დიდ მნიშვნელობას, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ჯარისკაცები მინიმალურად მონაწილეობდნენ ნატოსა და გაეროს სამშვიდობო მოქმედებებში. მთლიანობაში კი, აშშ-ს 600-მდე მოქალაქე მონაწილეობდა გაეროს სამშვიდობო აქციებში, რაც მათში დასაქმებული კონტინგენტის მთლიანი რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლები იყო. მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატები, საკუთარი რწმენით, აწარმოებდა ომს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, ამერიკის არმიას არქონდა დამატებითი რესურსები სხვა საერთაშორისო ქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა,სამხედრო საბრთხეებთან მიმართებაში აუცილებელია პარალელი გავალოთ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების ისტოიურ ფაქტებსაც და შევსაფასოთ სამხედრო საბრთხეები,უკეთესი შეფასებისთვის ასეტი პიტის

საბრთხეების შესახებ. მეტად საინტერესოა - ჯეიმს ბრაიან მაკნაბი[13], ის აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთმა უდიდესი გავლენა მოახდინა პოლიტიკაზე მთელ მსოფლიოში. წიგნში,რომელიც დაიწერა ამ მოვლენებთან დაკავშირებით, მიმოიხილავს წარსული ეპოქების გავლენას თანამედროვე შუა აღმოსავლეთში და აანალიზებს მნიშვნელოვან სამხედრო მოვლენებს, რამაც ხელი შეუწყო რეგიონისა და მისი ხალხის ჩამოყალიბებას.

კონფლიქტის ისტორიული ნიმუშების ამოცნობაში გვეხმარება, მისი წიგნი ხელს უწყობს ახლო აღმოსავლეთის უკეთ გაგებას, როგორც ის დღეს არსებობს. თვითონ სამუშაო ზონდები იწვევს და მოქმედებს დიდ კონფლიქტებში, რომლებიც მოიცავს ოსმალეთის იმპერიის დაცემას, მსოფლიო ომებს, არაბეთისრაელის ომებსა და ერაყთან შეერთებული შტატების ომებს, შეისწავლის სამხედრო ოპერაციების ჩატარების მანერას, როგორც შიდა, ისე გარე მხრიდან. არსებობს მოსაზრება,რომ ,, უსაფრთხოების ახალი ხელოვნება ისტორიის ირონიაა, რომ ნატოს ახალი სიცოცხლე მიეცა, თავდაპირველი მისიის დაბრუნებით - ევროპის ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფით.''

2014 წელს რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გატარებული შემაკავებელი ზომები წარმოუდგენელი იქნებოდა წლების წინ. ისეთ დაუცველ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა, საქართველო ან თუნდაც სირია, სადაც ის არ ერიდება სამხედრო კუნთების მოქნევას, რუსეთმა გამოიყენა ნაკლებად ჩვეულებრივი საშუალებები, ხშირად აღწერილი როგორც "ჰიბრიდული" ზომები, ნატოს მოკავშირეების წინააღმდეგ. ეს მოიცავდა ქიმიური დონის იარაღის გამოყენებას მიზანმიმართული მკვლელობისთვის, კიბერშეტევების, დეზინფორმაციისა და არჩევნების ჩარევისთვის, სამხედრო ძალების ჩვენებამდე ბალტიისპირეთისა და ჩრდილოატლანტიკური რეგიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იყენებდა თავის "ციფრულ" წიგნს, ნატო ემყარება ფართო ანალოგურ მიდგომას: დაგეგმვა, მეთაურობის სტრუქტურა, ჯარის განლაგება და უფრო ხშირად, ხანგრძლივი მოლაპარაკებები. სოლსბერის შეტევის შემდეგ მისი პასუხი ალიანსისთვის არატრადიციულ შეტევებზე რეაგირების სირთულის შესაბამისი იყო. ევროკავშირი,

[13] ჯეიმს ბრაიან მაკნაბი | 2017 წლის 9 მარტი / A Military History of the Modern Middle East. გვ 1 https://www.amazon.com (ბოლო ნახვა-12.05.2021)

ფაქტობრივად, უკეთესად არის აღჭურვილი, რომ პირველი უპასუხო იყოს ამ არაჩვეულებრივი სცენარებით, მაგრამ მას ხშირად არ გააჩნია ამის ძლიერი მანდატი. ნატოს დილემაა - როგორ შეიძლება იყოს იგი სანდო კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია, როდესაც სამხედრო და სამოქალაქო დომენები ემუქრებ, ნატოსა და ევროკავშირს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაცია გამამხნევებელია, მაგრამ ცოტას თუ სჯერა, რომ საგანგებო სიტუაციის პირობებში, ორ ორგანიზაციას შეუძლია ეფექტურად კოორდინაცია მოახდინოს რეაგირების მყარ კომპლექტზე".

თავი III. ნატოს დღევანდელი როლი მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.

ნატოს როლს, მოკლედ რომ ვთქვათ, შეგვიძლია უახლოეს წარსულში მომხდარის მაგალითზე განვიხილავთ,თუნდაც ეს იყოს ,კვლავ კოსოვო. კოსოვოს კონფლიქტმა ,,ჰუმანიტარული ინტერვენციის" [14] საერთაშორისო სამართლის გადახედვის საჭიროება წარმოქმნა. კოსოვოში 1998-1999 წლებში მიმდინარე მოვლენების დროს სახეზე იყო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, მასობრივი გაძევება და ომის დანაშაულები. ნატოს სამხედრო ძალების ინტერვენცია და დაბომბვის ფაქტები საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების გარკვეული ნაწილის მიერ დადებითად იქნა შეფასებული, ცალკეულ შემთხვევებში კი გაკრიტიკებული.

საინტერესოა თუ საუბარი შეეხება ,ასევე,ინტერვენციის საკითხს,რადგან ნებისმიერი კონფლიტის შემთხვევაში საკმაოდ აქტუალურია, ეს იქნება ჰუმანიტარული ინტერვენცია თუ სხვა სახის. არ არსებობს ჰუმანიტარული ინტერვენციის[15] სტანდარტული, სამართლებრივი დეფინიცია, თუმცა მას რიგ

[14] ძიძიგური გვანცა -,, ევროპა, უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი / საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია / ინტერნეტ რესურსები / Laura Wise, Was NATO's Intervetion in Kosovo in 1999 . 20.02.2021 . გვ 1 articles.yata.ge
(ბოლო ნახვა-12.05.2021)

[15] აბესაძე ლიკა -,,ევროპა, უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი / საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაცია / ინტერნეტ რესურსები / Laura Wise, Was NATO's

შემთხვევაში განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალების გამოყენებას სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საჯაროდ გამოხატული მიზნით, რომ დაუპირისპირდეს სახელმწიფოში არსებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებს. ეს დეფინიცია ვიწროა, რადგან იგი გამორიცხავს ჰუმანიტარული დახმარებისა და საერთაშორისო სანქციების შემთხვევებს.

ხოლო ფართო განმარტებით, ჰუმანიტარული ინტერვენცია მოიცავს არასამხედრო მეთოდებსაც, როდესაც ინტერვენცია ხდება სამხედრო ძალების გარეშე, რაც მიზნად ისახავს მასობრივი ადამიანური ტანჯვის თავიდან არიდებას სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით.

შესაბამისად, გაეროს წესდება ცალსახად კრძალავს ცალმხრივ ინტერვენციას, თუმცა ცივი ომის შემდგომ სახელმწიფოებმა დაიწყეს კოლექტიური ინტერვენციის ფორმების შემუშავება, რა დროსაც შესაძლებელი იყო კოლექტიური ინტერვენცია გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობით. ინტერვენციის მიზეზები ნათლად ჩანს სახელმწიფოთა ლიდერების განცხადებებში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი აღნიშნავდა, რომ ამერიკელები შეუერთდნენ ნატოს ძალებს საჰაერო თავდასხმებში სერბი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ კოსოვოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ნატოს ძალებს სურდათ, რომ დაეცვათ ათასობით უდანაშაულო ადამიანი და მოეხდინათ უფრო ფართო ომის პრევენცია, რომლეიც უკვე ორჯერ მოხდა მსოფლიოში და კატასტროფული შედეგები გამოიწვია. შესაბამისად, მოკავშირეთა ქმედებები მშვიდობის დაცვას ისახავდა მიზნად.

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების, ასევე ეთნიკური წმენდის აღმოფხვრის მიზნით, საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ნატოს ქმედება იყო არა ცალმხრივი, არამედ კოლექტიური და მიღებული პასუხისმგებელი ორგანოს მიერ, უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრიდან 3 წევრის მიერ, რომელსაც აქვს სპეციალური პასუხისმგებლობა რომ უპასუხოს საერთაშორისო მშვიდობისა

Intervetion in Kosovo in 1999 . 01/04/2021 გვ 1 articles.yata.ge
(ბოლო ნახვა-14.05.2021)

და უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ასევე, ნატო თავისი ქმედებებით ახორციელებდა არა ცალკეული ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიზნებს, არამედ იგი მოქმედებდა წმინდა ჰუმანიტარული მიზნებით. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ სამხედრო ალიანსად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც მნიშვნელოვანწილად ცვალებად საერთაშორისო გარემოსთან მისი ადაპტაციის უნარი განაპირობებს. ალიანსი არსებობის 70 წლის განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და ცდილობდა, რომ მისი ფუნქციები წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებთან ყოფილიყო შესაბამისობაში. შედეგად, დღევანდელი ნატო საკმაოდ განსხვავდება იმ ორგანიზაციისგან, რომელიც 1949 წელს ვაშინგტონში შეიქმნა.ნატოსთვის განსაკუთრებით გარდამტეხი ცივი ომის და ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის დასასრული აღმოჩნდა. თუ ოთხმოცდაათიან წლებამდე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის მთავარ საფრთხეს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, მეოცე საუკუნის მიწურულს ალიანსი ახალი მოცემულობის წინაშე აღმოჩნდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო ნატოში - ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები,მისი დანიშნულება და მიზნები (მათი მნიშვნელობა კონფლიქტების დროს).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორგანო ნატოში[16] , ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები მრავალეროვნული, მაღალი მზადყოფნის და ტექნოლოგიურად განვითარებული შეიარაღებული ძალებია, რომლებიც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო დანაყოფებისგან შედგება. საჭიროების შემთხვევაში ალიანსის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს – ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, შეუძლია აღნიშნული დანაყოფები სწრაფად გადაისროლოს იმ რეგიონში, სადაც კრიზისული სიტუაცია მწიფდება და ნატოს ჩარევა ხდება აუცილებელი მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. სწრაფი რეაგირების ძალებს არაერთი დანიშნულება აქვს, მისი უპირველესი

[16] ქილიფთარი ლუკა. ნატოს განვითარება და სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბება/ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები, მისი მიზანი და 2020 წლის შედეგები. გვ 1 . articles.yata.ge (ბოლო ნახვა-18.05.2021)

მოვალეობა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ნაწილების მანამდე შეკავებაა, სანამ ალიანსის სხვა სამხედრო ძალების მობილიზება მოხდება ცხელ წერტილში. გარდა ამისა, უმნიშნველოვანესია კრიზისების მართვისა და მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში ჩართულობა. ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები მონაწილეობდნენ 2005 წლის ავღანეთის საპარლამენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ასევე, აღსანიშნავია რომ ნატოს ეს დანაყოფები მონაწილეობას იღებენ სტიქიური უბედურებებისგან დაზარალებულთა დახმარების ოპერაციებში, მაგალითად 2005 წელს სწორედ სწრაფი რეაგირების ძალების საჰაერო ხომალდმა გადაიტანა აშშ–ში ნატოს ევროპელი წევრების მიერ გამოყოფილი რესურსები ქარიშხალი კატრინას დამანგრეველ შედეგებთან გასამკლავებლად. ხოლო 2005 წლის 8 ოქტომბრის მიწისძვრის შემდეგ სწრაფი რეაგირების ძალების თვითმფრინავი გამოყენებულ იქნა პაკისტანში არა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების გადასაზიდად, არამედ ინჟინრებისა და ექიმების გადასაყვანად. 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ სწრაფი რეაგირების ძალების აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა.

ამავე წლის სექტემბერში გამართულ უელსის სამიტზე ნატოს წევრები შეთანხმდენ, არა მხოლოდ გაეზარდათ სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობა 40 000 კაცამდე, არამედ 2016 წელს გასამართ ვარშავის სამიტამდე ჩამოეყალიბებინათ ძალიან მაღალი მზადყოფნის გაერთიანებული ოპერატიულ–ტაქტიკური ძალები (VJTF), რომელიც მხოლოდ 5000 სამხედროსგან იქნებოდა დაკომპლექტებული, თუმცა დროის კიდევ უფრო მოკლე მონაკვეთში შეძლებდა იქ განლაგებულიყო, სადაც საჭირო იქნებოდა. დღეს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს კიდევ უფრო დიდი როლი აკისრიათ ალიანსის წევრების უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში.

ნატოს არაერთ მაღალჩინოსანს, მათ შორის გენერალურ მდივანს, მიაჩნია რომ სწრაფი რეაგირების ძალები დღეს უმნიშვნელოვანესია ბალტიისპირეთში მშვიდობის უზრუნველსაყოფად,მაგალითად: ,,ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ „უსაფრთხოების უპრეცედენტო

გამოწვევების ეპოქაში, სწრაფი რეაგირების ძალები იმაზე მნიშვნელოვანია ვიდრე ოდესმე.''

3.1 ნატოს სტრატეგია თანამედროვე სამხედრო და სხვადასხვა ტიპის საფრთხეებთან საბრძოლველად

ყველასთვის ნაცნობია ის ფაქტი თუ რა სიტუაცია იყოს სირიაში[17] , მდგომარეობის ესკალაციის მიზნით რუსეთი ეხმარებოდა ასადის მთავრობას ოპოზიციასთან ბრძოლაში, იმ გარემოებაში, როცა NATO-ს რამდენიმე წევრი ქვეყანა ახორციელებდა ქურთული დაჯგუფების სახელით წვრთნებს. მიუხედავად იმისა რომ ვარშავის სამიტის შემდეგ NATO-ს მთავარი მესიჯი იყო ის რომ მათ არ სურდათ ცივი ომი, რუსეთი მაინც განაგრძობდა პროვოკაციულ მოქმედებებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთი[18] საფრთხეს უქმნის როგორც მსოფლიოს ისე, კონკრეტულად NATO-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს, რუსეთი ცდილობს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას და გავლენის გაზრდას მთელს მსოფლიოში, რასაც NATO ეწინააღმდეგება ამ ყოველივეს, ეს ინტერესთა კონფლიქტი კი უფრო მკვეთრ ცივ ომთან გვაახლოვებს. აშშ-მ 2016 წლის თებერვალში ნაბიჯი გადადგა მშვიდობისკენ და განახორციელა პოლიტიკა, რომელიც ასევე აღნიშნულია ვარშავის კომუნიკეს 28-ე მუხლში. პუნქტის მთავარი იდეა კი, სირიაში მშვიდობის დამყარებას ისახავდა მიზნად, რომელიც მშვიდობის დამყარებას ხელისუფლების შეცვლის გზით აპირებდა, თუმცა რეალურად პუტინი არათუ ასადის დახმარების შეჩერებას, არამედ მდგომარეობის დეესკალაციასაც არ აპირებდა, როგორც ნიკოლო მაკიაველის წიგნშია ,,მთავარი''-დაწერილი ,,მისნაირ ლიდერებს ხელში სისხლიანი დანა უჭირავთ'', რაც სირიის მაგალითზე , ISIS-ზე მეტი მოკლული ადამიანით დასტურდება. თებერვალში დადებული შეთანხმებისგან

[17] ომი სირიაში: ჰუმანიტარული ასპექტები / ავტორი: ანა თაბაგარი / Garriaud-Maylam, J. (2017, May). The war in Syria and Iraq: Humanitarian Aspects. Tbilisi გვ 1 . http://yata.ge (ბოლო ნახვა-22.05.2021)

[18] მაზანაშვილი დაჩი - ,, ნატო-რუსეთის ურთიერთობები''. გვ 1 http://yata.ge (ბოლო ნახვა23.05.2021)

განსხვავებით ახალი შეთანხმება მეტად მოქმედებდა, რაც NATO-ს და დასავლურ სამყაროს სირიაში მშვიდობის დამყარების იმედს აძლევდა .

საინტერესოა დიდი ბიტანეთის ფატქორსაც თუ მივაქცევთ ყურადღებას და

ვისაუბრებთ მის პოლიტიკაზეც და შეხედულებებზე სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენის მიმასრთ, ასევე , მის ქმედებებზე ამათუ იმ საკითხთან მიმართებაში. საინტერესოა იყო სანდო ბრიტანეთის მიერ ნატოს სტრატეგიის განხორციელება? მოქნილი რეაგირების მიღების შემდეგ, 1967 წელს ნატო ეყრდნობოდა ჩვეულებრივ ძალებს დასავლეთის დასაცავად. ბრიტანეთს ცენტრალური როლი ჰქონდა ნატოს გეგმებში, მაგრამ იყო თუ არა ბრიტანეთის თავდაცვის დაგეგმვა ადეკვატური ამ ამოცანისთვის?

როგორ გეგმავდა მთავრობა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების გამოყენებას ოპერაციების სპექტრისთვის, რომლებსაც იგი აიღებდა?

როგორ უნდა შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და რა დეტალებით ხდებოდა გეგმა მობილიზაციისთვის ? 1967 წელს ნატოს მიერ მიღებულია M143 , როგორც ზოგადი სტრატეგიული კონცეფცია. იგი ეყრდნობოდა ესკალატორულ შეკავებას, ჩვეულებრივიდან ტაქტიკური ბირთვული დარტყმებით დამთავრებული სტრატეგიული ბირთვული შეტევით. ეს საყოველთაოდ ცნობილია, როგორც მოქნილი პასუხი და შეცვალა ნატოს სამგზავრო რეაგირებაც.

ბრიტანეთისა და სხვა არქივების ახლად ხელმისაწვდომი დოკუმენტების გამოყენებით, არსებულმა მასალებმა აჩვენა, რომ მოქნილი სტრატეგიისგან შორს, ომის შემთხვევაში, იგი წარუმატებლად დასრულდა.

კონცეფცია კომპრომეტირებული იქნა ალიანსის წევრების მიერ ჩვეულებრივი შემაკავებელი ერთ – ერთი მთავარი ეტაპის - მდგრადობის უზრუნველსაყოფად.თვითონ აღნიშნული საკითხი, აანალიზებს პარადოქსს თავდაცვის პოლიტიკის სახესა და პრაქტიკას შორის, ასევე შეფასებულია, იმუშავებდა თუ არა დაგეგმვა და რა მოხდებოდა ევროპაში, ომი რომ დაწყებულიყო. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, განვიხილავთ ფოლკლენდსა და ყურეში არსებულ კონფლიქტებს, რათა შეფასდეს არსებული გეგმები. ახალი სტრატეგიის მიღებიდან ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში შენდებოდა ის ელემენტები, რომლებზეც დამოკიდებული იყო ბრიტანეთის

თავდაცვა. ბრიტანეთში თავდაცვის პოლიტიკა ნაკლებად ეხებოდა ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებს, ვიდრე იმაზე, თუ რამდენად ცოტა იყო დახარჯული თავდაცვაზე.

ევროატლანტიკური საზოგადოება მსოფლიოს წამყვან ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან გარეთიანდა და გარკვეულწილად მოგვარდა სირიის ომით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების საკითხი, რამაც მნიშვნელოვანი ფინანსური, მატერიალურიი და ადამიანური რესურსი მოითხოვა.

მათი დახმარებით ათასობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, მილიონობით მათგანმა კი სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო. თუმცა კრიზისის დაძლევა ბევრად მეტ ძალისხმევას მოთხოვდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მხრიდან , ამ პროცესში კი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა.

აღმოსავლეთ ევროპა

ისტორიის მანძილზე აღინიშნებოდა რუსეთის დაინტერესება შავი ზღვით, რადგან ეს ტერიტორია მისი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნებოდა, შესაბამისად ის მუდმივად იბრძოდა როგორც საქართველოსთანს, ისე რუსეთთან, რაც უკრაინის შემთხვევაში ყირიმის ოკუპაციით დამთავრდა. რუსეთმა აქტიურად დაიწყო თავის დროზე , ყირიმის ტერიორიაზე სამხედრო წვრთნების ჩატარება და რბილი ძალის გავრცელება. დასავლურმა სამყარომ კი აღმოსავლეთ ევროპის ფლანგი გაამაგრა სწრაფი რეაგირების ბატალიანით, რაც შეიძლება ცივი ომის გამწვავების მიზეზად მივიჩნიოთ.

NATO-მ იგრძნო საფრთხე აღმოსავლეთ ევროპის დასაცავად, რადგან შავი ზღვის რეგიონი მხოლოდ უკრაინით არ შემოიფარგლებოდა და მასზე გასასვლელი მის წევრ ქვეყნებსაც აქვთ, შესაბამისად წევრი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვის გამო NATO ერთგვარად ვალდებული გახდა დაენახვებინა რუსეთისთვის, რომ კომფლიქტის დაწყების ან მის წევრ სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში მას შეეძლო ეფექტურად აემოქმედებინა წესდების მეხუთე მუხლი, რამაც

სიტუაცია დაპირისპირებისგან იხსნა. 2014 წლის ყირიმის ანექსიის საპასუხოდ, ალიანსმა გადაწყვიტა, რომ 2017 წლის იანვრიდან ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში სამხედრო დანაყოფები განალაგოს: შეიქმნება 4 ბატალიონი, რომელიც საერთო ჯამში 3 ათასიდან 4 ათასამდე სამხედრო პირით იქნება წარმოდგენილი და რომელსაც ესტონეთში – დიდი ბრიტანეთი, პოლონეთში – აშშ, ლატვიაში – კანადა, ლიტვაში კი გერმანია – უხელმძღვანელებდა.

ალიანსის ლიდერებმა მიიღეს კომპლექსური პაკეტი, რომელიც მიზნად უკრაინის ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას ისახავდა. პაკეტი უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მის ფინანსურ დახმარებას გულისხმობდა.

სამხედრო წვრთნებისათვის მხოლოდ აშშ-სგან უკრაინა $500 მილიონს მიიღებდა. ამასთან, ნატო უკრაინაში თავის წარმომადგენლობასაც გაზრდიდა. აღსანიშნავია, რომ ალიანსმა შეწყვიტა სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან, თუმცა მაინც დარჩა ღია პოლიტიკური, კონსტრუქციული დიალოგისთვის. ალიანსი მოუწოდებდა რუსეთს, შეეწყვიტა ყირიმის ანექსია, ქვეყნის სუვერენული საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით დაპყრობა, აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაცია, ნატოს საზღვრებთან პროვოკაციული სამხედრო ქმედებები, მათ შორის ბალტიის, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვების რეგიონებში. ნატო გმობდა და გმობს რუსეთის მიერ უპასუხისმგებლო აგრესიულ რიტორიკას ბირთვულ სფეროში, მის მიერ სირიის კრიზისში სამხედრო ჩართულობასა და ქვეყანაში არსებული რეჟიმის მხარდაჭერას. ალიანსი, ასევე , გმობდა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდას უკრაინაში, დონეცკსა და ლუგანსკში, სადაც რუსეთის მიერ პროვოცირებულმა საომარმა მოქმედებებმა 10 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

3.2 ნატოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა

გაერო - ძლიერი საიმედო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1945 წელს და რომელიც ამჟამად აერთიანებს 193 წევრ სახელმწიფოს. გაეროს მისია და საქმიანობა ეფუძნება მიზნებს და პრინციპებს, რომლებიც განცხადებულია მის დამფუძნებელ წესდებაში. თუმცა, ბევრი აღნიშნავს, რომ ,,წესდება გაეროს შესაცვლელი აქვს,რადგან ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და გამოწვევებსო''.

უნდა აღინიშნოს გაეროს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია,რაც მოიცავს შემდეგს : გაეროს მთავარი ორგანოებია გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, ადამიანის უფლებათა (ჰააგის) საერთაშორისო სასამართლო, და გაეროს სამდივნო.

გაეროს სისტემაში შედის თვით გაერო და მრავალი აფილირებული პროგრამა, ფონდი და სპეციალიზებული სააგენტო, რომელთაც თავისი წევრები, ხელმძღვანელობა და ბიუჯეტი აქვთ.

გაერო მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის მონაწილე მხარეების დახმარება მშვიდობის მიღწევაში, მშვიდობის მშენებლობა და მშვიდობის განმტკიცების და შენარჩუნებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. გაერო ასევე ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებას და დაცვას. და ბოლოს, გაერო კოორდინირებას უწევს ჰუმანიტარულ დახმარებას მსოფლიოში.

უსაფრთხოების სექტორში მთავარი აქტორია გაეროს მშვიდობისმყოფელების და ოპერაციების დეპარტამენტი (UNDPKO), რომელიც წამყვან როლს ასრულებს მშვიდობისმყოფელების და მშვიდობის დაცვის ოპერაციებში. აღსანიშნავია ,, UNDPKO", რომელიც ქვეყნებში საქმიანობას იწყებს მხოლოდ კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, ხოლო UNDP წლების განმავლობაში ახორციელებს თავის პროგრამებს მრავალ ქვეყანაში როგორც კონფლიქტამდე, ისე კონფლიქტის შემდგომ. ასევე ორგანო ,,UNDP''-ში უსაფრთხოების სექტორის მიმართ ერთიანი მიდგომის შენარჩუნების მიზნით, ერთად მუშაობენ კრიზისის პრევენციის ბიუროში მოქმედი კანონის უზენაესობის, სამართლის და უსაფრთხოების ჯგუფი და

დემოკრატიული მმართველობის ჯგუფში მოქმედი სამართლის და კანონის უზენაესობის ხელმისაწვდომობის გუნდი.''

რაც შეეხება ევროკავშირს. ევროკავშირი ჩართულია უსაფრთხოების სექტორის მთელ რიგ სფეროებში. ეს მოიცავს პოლიციურ და სამხედრო ოპერაციებს, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემების გაუმჯობესებას. თავდაპირველად, ეს აქტივობები არ უკავშირდებოდა უსაფრთხოების სექტორის რეფორმის კონკრეტულ პოლიტიკას. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო პირველი ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია. 2005 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონცეფცია ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის შესახებ.

ევროკავშირი უსაფრთხოების სექტორის რეფორმის აქტივობებს ატარებს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ დონეზე: თანამეგობრობის დონეზე, წევრიქვეყნების დონეზე და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პირველ დონეზე საქმიანობას ძირითადად ახორციელეს საბჭო და კომისია. კომისიის საქმიანობა ძირითადად სამოქალაქო ხასიათისაა, ხოლო საბჭო ახორციელებს სამოქალაქო, სამხედრო და შერეულ საქმიანობას.

ეუთო და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა

ეუთო ჩართულია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ეუთოს ქცევის კოდექსმა პოლიტიკურ-სამხედრო საკითხებზე საფუძველი ჩაუყარა უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის დამკვიდრების დღის წესრიგს. უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში ეუთოს მზარდი ინტერესის და ჩართულობის შედეგად შეიქმნა უსაფრთხოების სექტორის მართვის და რეფორმის სახელმძღვანელო ეუთოს თანამშრომლებისთვის.

ეუთო ხელს უწყობს განსხვავებული პოზიციების შერიგებას და ნდობის აღდგენას სახელმწიფოებს შორის მათთან თანამშრომლობით კონფლიქტის პრევენციის, კრიზისის მართვის და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის საკითხებში. ეუთოს საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: შეიარაღების კონტროლი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კარგი მმართველობა, ენერგოუსაფრთხოება, ადამიანებით ვაჭრობის აღმოფხვრა, დემოკრატიზაცია,

მედიის თავისუფლება და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები. 1994 წელს მიღებული კოდექსი პოლიტიკურად სავალდებულო ინსტრუმენტი იყო და დღემდე რჩება ეუთოს მთავარ განაცხადად უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საკითხებზე.

აღნიშნული კოდექსი მოუწოდებს, რომ დემოკრატიული კონტროლი დაწესდეს არა მხოლოდ სამხედრო ძალებზე, არამედ უსაფრთხოების სხვა ძალებზეც, მათ შორის, გასამხედროებულ ძალებზე, პოლიციაზე და უსაფრთხოების სამსახურებზე.

ამ გზით, უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული კონტროლი სტაბილურობის და უსაფრთხოების ძირითად შემადგენელ ელემენტად ცხადდება.

ნატოს როლს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში განაპირობებს ნატოს წევრობისთვის ქვეყნების მომზადების და გაწევრიანების შემდგომ ალიანსის სტრუქტურებში მათი ჩართვის პროცესები. ნატომ უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობა ნატოს გაფართოების მიდგომის ერთ-ერთ მთავარ წუხილად ჩათვალა). ნატომ ასევე შეიმუშვა პროგრამები, რომელთა მიზანია თავდაცვის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტების ქმედითობის და ანგარიშვალდებულების მიღწევა.

არსებული პროგრამები, როგორიცაა პარტნიორობის სამოქმედო გეგმა თავდაცვის ინსტიტუტების მშენებლობის საკითხებზე (PAP-DIB) და ტერორიზმთან ბრძოლის პროგრამები, ეხება უსაფრთხოების სექტორის რეფორმას.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმის საკითხები ასევე ჩართულია ნატოს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში. უფრო მეტიც, ნატო სულ უფრო აქტიურად ერთვება პოსტკონფლიქტურ და კონფლიქტურ სიტუაციებში უსაფრთხოების ძალების რეფორმირებაში. ნატოს თვალსაზრისით, კეთილსინდისიერების პროგრამა უზრუნველყოფს მისი წევრების და პარტნიორი ქვეყნებისთვის შესაფერის მხარდაჭერას კორუფციის რისკის შემცირებაში თავდაცვის სფეროსა და უსაფრთხოების სექტორში და ხელს უწყობს ამ ქვეყნების თავდაცვის უწყებებში კარგი მმართველობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვას.

კეთილსინდისიერების განმტკიცების პროგრამა ხელს უწყობს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის და მასთან დაკავშირებული რეზოლუციების შესრულებას, რომლებიც შეეხება ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებს.

დასკვნა

კიდევ არსებობდა მსოფლიოში , გარდა ნატოსი, საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს იყო ერთა ლიგა (რომელიც ნაშრომშიც არის ნახსენები), ის ჩამოიშალა. მიზეზი კი მისი : სისუსტე, გაფართოების ნაკლები სურვილი და ისეთი ქვეყნების ნაკლებობა იყო რომლებსაც ექნებოდათ ფინანსური დამოუკიდებლობა და კარგი ეკონომიკა ,ისეთი ერთი ქვეყანა მაინც სჭირდებოდა როგორიც დიდი ბრიტანეთია (სხვა ქვეყნები რომ აღარ ვახსენოთ).

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მრავალი პროექტი განახორციელა, სამშვიდობო მისიებიც კი და ყოველთვის ეხმარება და ეხმარებოდა ისეთ ქვეყნებს, სადაც სხვა ქვეყანა ომს აწარმოებდა ან ქმნიდა დაძაბულობას.

გარდა ამისა, არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ იყვნენ გარანტი მშვიდობის, ახორციელებენ სხვადასხვა მისიებს და პროეტებს რათა დაიცავან დაუცველი მსოფლიო მოსახლეობა.ნაშრომში არის მოყვანილი რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ,მაგალითად გაერო ,მას აქვს სამშვიდობო მისიები ,იგი გზავნის სამშვიდობო დამკვირვებლებს და ეცნობა კონფლიქტურ ზონებიდან იქ არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას და აკეთებს შესაბამის დასკვნას და ასევე გამოხატავს შეშფოთებას შესაბამისად სიტუაციის.გარდა ამისა,ეუთო - რომელიც აგრეთვე ზრუნავს მშვიდობაზე და დანარჩენ საერთაშორისო

ორგანიზაციების მსგავსად, ისიც ზრუნავს პირველ რიგში ადამიანის უფლებებზე და აშუქებს იმ მოვლენებს რაც ასახავს რელობას კონფლიქტურ რეგიონებში და არსებულ სიკეთეებს (ამათუიმ ქვეყნის შიგნით თუ რაიმე პოზიტიური კეთდება) აცნობს მსოფლიოს.

კიდევ, მრავალი ორგანიზაციაა რომლებსაც შეგვიძლია ვანდოთ გადაუჭრელი პრობლემების გადაჭრა და ვიყოთ დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ნატოს შექმნის მიზეზი კი , მეორე მსოფლიო ომის დასრულება იყო და იმის შიში ,რომ მესამე მსოფლიო ომი არ მომხდარიიყო.ორგანიზაცია ,რომელიც შეიქმნა ამ დროს დღემდე დიდი წარმატებით ,სანდოობით და აქტუალობით სარგებლობს მსოფლიოში,რაც იძლევა სიმშვიდის შენარჩუნების საფუძველს მსოფლიო მოსახლეობაში. მართალია, მაინც ხდება ტერაქტები,კონფლიქტები და ომებიც კი,მაგრამ ნატოს ჩარევის შედეგად ყველაფერი ლაგდება და ისადგურებს მშვიდობა.

ჰიპოთეზას წარმოადგენს : მსოფლიოსა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს თანამედროვე სამხედრო გამოწვევები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ნატო, ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების გარანტს წარმოადგენს. ასევე, თავისი მობილური, მოქნილი, სწრაფი რეაგირების ძალებისა და სამხედრო პოტენციალის საფუძველზე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ალიანსი XXI- ე საუკუნეშიც ინარჩუნებს ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაციის სახელს უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.ნებისმიერი გამოწვევის და კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ნატო მზად არის დახმარება გაუწიოს ნერბისმიერ ქვეყანას,ამით კი ნათქვამია ის,რომ არსებული ჰიპოთეზა მტკიცდება და რეალობას წარმოადგენს. ნატოს როლი მსოფლიო სამშვიდობო პროცესებში და თანამედროვე სამხედრო გამოწვევები. საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი საკითხია სამშვიდობო პროცესები, ვინაიდან მასში მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები და სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას სხვადასხვა ტიპის საომარ თუ კონფლიქტურ

პროცესებზე. მშვიდობის შენარჩუნება საკმაოდ რთული საკითხია გლობალიზაციის პირობებში ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ნატოს როლი მთელ რიგ პროცესებში რომლებიც, მსოფლიოში მიმდინარეობს, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი ძალზედ დიდია. ნაშრომში მოყვანილია საკმაოდ ბერვი მაგალითი იმისა,თუ რატომ უნდა მივანიჭოთ ასეთ მსოფლიო გაერთიანებებს დიდი მნიშვნელობა.ნატო არის აქტიური და ლიდერი მშვიდობის დაცვის საკითხებში მსოფლიოს მასშტაბით. ცდილობს მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს მსოფლიოში არსებული პრობლემური საკითხები, თუმცა დიპლომატიური ხერხების გარდა ძალისმიერ მეთოდებსაც იყენებს – სამხედრო შენაერთებს, ურომლისოდაც რეალური შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

ზოგჯერ ისმის კითხვა, თანამედროვე პერიოდში ახალი გამოწვევების ფონზე რამდენად შეუძლია ნატოს, ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა? თანამედროვე პერიოდში ახალი გამოწვევების ფონზე ნატო - ალიანსის უსაფრთხოების მთავარი გარანტია. ნატოს შესწევს ძალა რუსული აგრესიის წინააღმდეგ გამოიყენოს საკუთარი ბერკეტები,რათა არ მისცეს საშუალება საკუთარი გავლენა გაავრცელოს და თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს.

მისი მეშვეობით ხდება ყველა საფრთხის ნეიტრალიზაცია და როგორც რუსეთს ასევე ტერორისტულ ორგანიზაციებს ეზღუდება არიალი საკუთარი ქმედებების.

ნატო არის წამყვანი ორგანიზაცია კრიზისების მართვის სფეროში, მისი სამხედრო სტრუქტურა, კრიზისების მართვის კონცეფცია, ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ალიანსი იღებს კონფლიქტების პრევენციისთვის, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას, ასევე, ის შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია მას სამხედრო სფეროში აძლევს მას საშუალებას, რომ ითამაშოს მთავარი და გადამწყვეტი როლი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

აქვე აღსანიშნავია საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესიც. ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, თუ რუსეთმა მიაღწია ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხანგრძლივ დაბლოკვას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთი ყველანაირი გზებით ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს გაწევრინებაას ნატოში. რაც შეეხება ევროატლანტიკური ალიანსის და საქართველოს ურთიერთობებს , მნიშვნელოვანია ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ალიანსში გაწევრიანების მიმართულებით. მათ შორის საქართველოც, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციებში. ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით ქვეყანა მიიღებს ბევრად უფრო უსაფრთხო გარემოს ვიდრე დღეს არის და საქართელო სამხედრიპოლიტიკური კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვან წონასაც შეიძენს.

დასკვნის სახით,ასევე აღსანიშნავია ის, რომ თანამედეოვე პერიოდში სრულიად შეიძლება ითქვას, ალიანსი ესადაგება XXI-ე საუკუნის უსაფრთხოების მოთხოვნებს თავისი ოპერაციებით,ასევე, გაძლიერებული თავდაცვითი შესაძლებლობებით, უწყვეტი შინაგანი რეფორმებით და რაც ასევე,მნიშვნელოვანია უფრო ღრმა კავშირებით, როგორც თვით ევროატლანტიკურ არეალში, ისე მის გარეთ.

ნატო უნიკალურია ალიანსებს შორის იმით, ვიცით , რომ ის არ არის მხოლოდ ხელშეკრულება, რომელიც დაფუძნებულია ხელშეკრულებაზე წევრ ქვეყნებს შორის, ეს ფაქტი ბევრგანაა აღნიშნული და დაფიქსირებული, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციაა, ძლიერი და საიმედოა.

ადრეული წლებიდან, ნატო შედგება მუდმივად დაკომპლექტებული ოფიციალური პოლიტიკური შტაბისგან, რომელსაც მხარს უჭერს სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატოს ინტეგრირებული ერთობლივი მრავალეროვნული სამხედრო სტრუქტურა. როგორც ნაშრომის დასაწყისშიც უკვე აღინიშნა, ნატო მუდამ იბრძვის სამართლიანობისთვის და ყოველთვის ცდილობს მიიღოს სამართლიანი ვერდიქტი დამნაშავე ქვეყნის მიმართ და გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეაჩერებს ერთი სუბიექტის მხრიდან - მეორის ჩაგვრას. ნატო წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას,რომელიც თამაშობს მედიატორის როლს და არ არის მიკერძოებული საერთაშორისო ორგანიზაცია. სწორედ ამიტომ სარგებლობს უდიდესი ნდობით მსოფლიოში და სწორედ ამიტომ

არის ყოველთვის დიდი სურვილი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან.

ჩემს ნაშრომში არის მკვეთრად გამოხატული ნატოს მნიშვნელობა და როლი არამხოლოდ იმ კუთხით , რომ ნატო არის სანმშვიდობო ორგანიზაცია და აქვს მრავალი ბერკეტი და მექანიზმი რათა შეინარჩუნოს მშვიდობა, არამედ ახალი(თანამედროვე) გამოწვევის შესახებაც არის ყურადღება გამახვილებული, რომელსაც ,,სამხედრო საბრთხეები წარმოადგენს''. უნდა აღინიშნოს, რომ ადრეც არსებობდა სამხედრო საბრთხე თუმცა, დღეს სამხედრო კონფლიქტები თუ სამხედრო დაპირისპირებები წარმოადგენს გამოწვევას, რადგან 21-ე საუკუნეში ისეთი დაპირისპირებები არ უნდა არსებობდეს როგორიც ადრე იყო (სისხლისმღვრელი), რადგან მსოფლიო განვითარდა და დემოკრატიული ურთიერთთანამშრომლობა უნდა არსებობდეს და არა ძალისმიერი მეთოდით ერთმანეთის ჩაგვრა.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ბესელია მაგდანა / ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები : ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები. (სამაგისტრო ნაშრომი / თბილისი 2018 წ).

2. თაბაგარი ანა ომი სირიაში: ჰუმანიტარული ასპექტები/ ავტორი: / GarriaudMaylam, J. (2017, May). The war in Syria and Iraq: Humanitarian Aspects. Tbilisi. http://yata.ge

3. კვარაცხელია გვანცა / საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები ‘’ 23-24 დეკემბერი, 2020 წ. yata.ge

4. მაზანაშვილი დაჩი. ნატო-რუსეთის ურთიერთობები/ 8 დეკემბერი 2016 წელი. On.ge / 2016 წელი ნატოს- ვარშავის სამიტის შედეგები / პასუხები ძირითად კითხვებზე. მაკიაველი, მთავარი. ფლორენცია. ავტორი: წყარო yata.ge

5. ინტერნეტ რესურსი : მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ / 2020 , სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“.
6. ინტერნეტ რესურსი : სამშვიდობო/მისიები peacekeeping-missions / old.infocenter.gov.ge

7. ოთარაშვილი ზურაბი,,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“/თბილისი - 2018 წ. yata.ge

8. საერთაშორისო მისიები / mod.gov.ge

9. ინტერნეტ რესურსი : ლიკლიკაძე კობა / რადიო თავისუფლება ივლისი 01, 2012.

10. ძიძიგური ნინო ,,გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ’’. წიგნი გამოცემულია სსიპ ,,საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ’’ მიერ, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2017 წელი. articles.yata.ge

11. ძიძიგური გვანცა / აბესაძე ლიკა / ,,ევროპა, უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი/საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების

ახალგაზრდული ასოციაცია/გვ 1. articles.yata.ge / ინტერნეტ რესურსები - Laura Wise, Was NATO's Intervetion in Kosovo in 1999 . 20.02.2021 / articles.yata.ge

12. ქილიფთარი ლუკა. ნატოს განვითარება და სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბება/ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები, მისი მიზანი და 2020 წლის შედეგები. articles.yata.ge

13. კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში / საერთაშორისო ორგანიზაციები / . securitysectorintegrity.com

14. დევიდ ა. ანდელმანი / A Red Line in the Sand: Diplomacy, Strategy, and the History of Wars That Might Still Happen Hardcover – January 5, 2021 amazon.com

15. ვინსენტ პულიოტი / International Security in Practice: The Politics of NATORussia Diplomacy (Cambridge Studies in International Relations Book 113) / 2010 წლის 18 თებერვალი amazon.com

16. ვიტალი ჩურკინი, 2004 წლის 29 მაისი / ცისფერი ჩაფხუტი, ავღანეთი, ABM -ის ბაზები აღმოსავლეთ ევროპაში, გაერო, თალიბანი, ვეტო, ნიკი ჰეილი, პრიშტინა, კუნდუზი. www.dw.com

17. კრისტოფერ პარკეტრი . Fighting for Democracy: Black Veterans and the Struggle Against White Supremacy in the Postwar South (Princeton Studies in American Politics: … and Comparative Perspectives, 107) / Sep 6, 2009 www.amazon.com

18. კენტონ ვაითი / Never Ready: NATO's Flexible Response Strategy, 1968-1989 (Europe@War) Paperback – November 15, 2021 www.amazon.com

19. მაიკლ ნაპიერი / In Cold War Skies: NATO and Soviet Air Power, 1949–89 Hardcover – September 22, 2020 www.amazon.com

20. ჯონათან მასტერსი / 2019 წლის 3 დეკემბერი. CFR Backgrounder / იკვლევს რუსეთის სამხედრო სტრუქტურას და ევრაზიის უსაფრთხოებას და პოლიტიკის პოტენციურ მოქმედეას. ნატო-ს კარის გახსნისას რონალდ

ასმუსი მოწმობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ალიანსის გაფართოების პოლიტიკას. www.amazon.com

21. ჯონსტონი, სეთი/ დამატებითი ინფორმაცია ამ პუბლიკაციის შესახებ: ბელფერის კომუნიკაციების ოფისი აკადემიური ციტირებისთვის: "ნატოს გაკვეთილები ავღანეთიდან", პარამეტრი 49, No 3 (2019 წლის გვ . 11-26). www.amazon.com

22. ჯეიმს ბრაიან მაკნაბი | 2017 წლის 9 მარტი / A Military History of the Modern Middle East. www.amazon.com

23. ჰენრი კისინჯერი. Airpower-Applied-Experience-Military Aviation/https://www.amazon.com / September 4, 2018. www.amazon.com